# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი 26 დეკემბერი 1998 №238 (773) ფასი 50 თეთრი

# გვეხაროს!

„სარბიელმა“ და მისმა მკითხველებმა კიდევ ერთი, 1998 წელი მოილიეს, რომლისგანაც ტკბილად მოსაგონარი ბევრიც არ დაგვრჩენია. ღმერთმა ინებოს, დამდეგ 1999 წელს გვეხაროს ქვეყნისა და ქართული სპორტის წარმატებებით. პირველ საგაისო „სარბიელს“ 12 იანვარს იხილავთ. მანამდე კი ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგთენებოდეთ!



## რჩეულნი რჩეულთა შორის: მიხეილ მესხი და ნოდარ ახალკაცი

### საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი და მწვრთნელი „სარბიელის“ მკითხველთა აზრით

კონკურსის სრული შედეგები იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდებზე





წლეულს საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველ ზინედინ ზიდანის წელი იყო. გაისადაც ასევე იმეფებს საფეხბურთო სამყაროში თუ არა, ვნახავთ. მანამდე კი, ზიდანის წლევანდელი გმირობა — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთის გამჩემპიონებელი ორი გოლის გატანა გავიხსენოთ

FRANCE 98
WORLD CUP



# საქართველოს ბიუჯეტის შავი ვერდიქტი:

# ქართული ფეხბურთი თეთრსაც ვერ მიიღებს

ბადრი ქართველიშვილის ფოტო



ბაგრატიონი და ასათიანი — შევარდნაძეს: სპორტს ფული სჭირდება!

ᲑᲣᲨᲘᲜ დილით სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელიას მისაღებში გაიმართა სამუშაო თათბირი, რომელსაც მთავარ თემად ფეხბურთისადმი სახელმწიფოს შესაძლო მხარდაჭერა გასდევდა და კარგა ორ საათს გასტანა.

სამუშაო თათბირში მონაწილეობა სრულიად ქართული სპორტის პატივცემულმა ჩინოსნებმა მიიღეს (სულ ჩვიდმეტი კაცი უჯდა მაგიდას), თუმცა მათ შორის ზოგი აქტიურობდა, ზოგიც უბრალოდ მონაწილეობდა ჭეშმარიტად სამუშაო სიტუაციაში. ვინ აქტიური იყო, ვინ პასიური, ამას არა და თათბირში მონაწილე ყველა ჩინოსანს კი ჩამოვთვლით. ვფიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ქართულ ფეხბურთზე მობაასე პიროვნებათა ვინაობა. მას ასე, ზაზა შენგელიასთან ერთად სამუშაო მაგიდას უსხდნენ:

საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ამაღლობელი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გელა ხანიშვილი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რევაზ გერგედავა, სახალმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ხელშეწყობის განყოფილების უფროსი დაზმირ ჯოჯუა, ამავე განყოფილების რეფერენტი ეზეკი ინწკირველი, პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი გურამ ძაგანია, სპორტის სამმართველოს უფროსი ამირან აბესაძე, აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ამირან ზუხბაია, სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, სფფ-ს პრეზიდენტი მებარ ჟორდანია, სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, პარლამენტის წევრი და საფეხბურთო კლუბ „ცხუმის" საპატიო პრეზიდენტი გია გვაზავა, სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სპეციალისტი თემურ მირიანაშვილი.

თათბირზე სამი ძირითადი საკითხი განიხილეს.

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესახებ, რომელიც ორ ქვესაკითხს მოიცავდა — ა) ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება (მომხსენებელი მერაბ ჟორდანია); ბ) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში არსებული საფინანსო მდგომარეობის შემოწმების მიმდინარეობა (მომხსენებელი კახი ასათიანი). 2. კანონპროექტი „ლატარიის შესახებ" (მომხსენებელი კახი ასათიანი). 3. საფეხბურთო კლუბ „ცხუმის" საფინანსო მდგომარეობა (მომხსენებელი გია გვაზავა).

მოვყვეთ თანმიმდევრობით: პირველი საკითხის შესახებ საუბრისას მერაბ ჟორდანია თავის საპრეზიდენტო პროგრამას დაეყრდნო და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ორასგვერდიანი ნაშრომიდან რამდენიმე ძირითად პუნქტს მიაქცია ყურადღება — 1. განთავისუფლდეს სფფ-ს პირდაპირი შემოსავლები, რომელსაც იგი მიიღებს ფიფა-უეფასგან გრანტებისა და დახმარების სახით. 2. განთავისუფლდეს გადასახადებისაგან ეროვნული ნაკრების მატჩებზე ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა. 3. განთავისუფლდეს ქართული ეროვნული და საკლუბო გუნდების ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხა დაბეგვრისაგან. 4. არ დაებეგროთ პრემიალური თანხები ეროვნული ნაკრების წევრებს. 5. არ დაიბეგროს საბაჟოებზე ის ინვენტარი და საჩუქრები, რომელთაც სფფ მიიღებს უცხოელი პარტნიორებიდან. 6. ჩამოყალიბდეს ფეხბურთის სპეცკლასები სკოლების ბაზაზე. 7. გამოეყოს სფფ-ს თბილისიდან 30 კილომეტრის რადიუსში მიწის ნაკვეთი ეროვნული ნაკრების ბაზის ასაშენებლად. 8. დაჩქარდეს პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია. 9. მიეცეს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციას სახელმწიფო დოტაცია, რათა მან სფფ-სგან ტელეტრანსლაციების უფლება იყიდოს. 10. ქვეყანაში გათამაშებული ლატარიების მოგების 50 პროცენტი გადაეცეს სფფ-ს. 11. 2000 წელს გაიმართოს და დაფინანსდეს ქართული ფეხბურთის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

მერაბ ჟორდანიამ სფფ-ს მოთხოვნების შესრულების ძირითად საშუალებად სახელმწიფოს მხარდაჭერა და ბიუჯეტის კეთილგანწყობა მიიჩნია, მაგრამ სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ და ფინანსთა მინისტრის თანაშემწემ იქვე ხაზი გაუსვეს ბიუჯეტში კატასტროფულ მდგომარეობას და თქვას, რომ ბიუჯეტის იმედზე ყოფნა უბრალოდ საქმისადმი არასერიოზული მიდგომაა. 1999 წლის ბიუჯეტს 300 მილიონი დოლარი ვალი „ერგება" მემკვიდრეობით და იმ დროს სპორტის, კონკრეტულად ფეხბურთის გადასახადებისგან განთავისუფლებაზე საუბარი არ შეიძლება — დაამატა ზაზა შენგელიამ.

საუბარში ნოდარ ამაღლობელიც ჩაერთო. მან მერაბ ჟორდანიას მიმართა და ურჩია, აელო სწორი მიმართულება, რათა სფფ-ს უეფადან მიღებული გრანტები და საჩუქრები არ დაუბეგრონ, ევროპაშივე გაამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული, თუ სფფ-ს მიერ შემოტანილი რომელი ღირებულება ექვემდებარება დაბეგვრას და რომელი — არა. ეს საქართველოს საზღვარზე საბაჟოსთან გაუგებრობებს აგაცილებთ თავიდან — ასე დაამთავრა თავისი რჩევა ამაღლობელმა.

ამის მერე სიტყვა ისევ ჟორდანიამ აიღო და პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აქციების ხელახალ გადანაწილებაზე ისაუბრა. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ეროვნული სტადიონიდან სფფ-ს მხოლოდ 5 პროცენტი ეკუთვნის და რესპუბლიკურ საბჭო „დინამოს" — 33 პროცენტი. მერაბ ჟორდანიამ აღნიშნა, რომ უეფას სტადიონზე უკვე დახარჯულა მილიონი დოლარი, რომელმაც 20 წლის განმავლობაში (წელიწადში 50 ათასი დოლარი) უნდა გაისტუმროს ქართულმა ფეხბურთმა. სამწუხარო და საკვირველი ისაა, რომ რესპუბლიკური საბჭო „დინამო" ფაქტობრივად აღარც არსებობს, მასში ხუთიექვსი კაცი მუშაობს მხოლოდ და რატომ უნდა ჰქონდეს ამ უწყებას ამოდენა წილი. ამას უეფაც ხვდება და მონაწილე პარტნიორს ქმედებისკენ მოუწოდებს. თუ ამას არ მივხედეთ, შეიძლება უეფამ ფინანსირება შეგვიწყვიტოს — თქვა ჟორდანიამ.

საუბარში კახი ასათიანიც ჩაერთო და ეროვნულ სტადიონზე დამონტაჟებულ საჯდომ სკამებზე გაამახვილა მსმენელთა ყურადღება. ეს საკითხი „ძველი" ფედერაციის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამდა წყალს და რახან „ძველი" სფფ-ს საგმირო საქმეები ისედაც ცალკე საკითხად იყო შეტანილი თათბირის ოქმში, მონაწილეები ავტომატურად გადაერთნენ მეორე საკითხზე.

კახი ასათიანს ვრცლად არ უსაუბრია — მან პირდაპირ დასდო ბრალი სფფ-ს ძველ ჩინოსნებს 300 ათასი დოლარის „შეჭმაში" — ეს ის თანხაა, რომელიც არ დასჭირდა ეროვნულ სტადიონზე სკამების დამონტაჟებას და ხარჯთაღრიცხვაში კი ნაჩვენებია. მათი საზომებით ერთი სკამის მონტაჟი დაახლოებით 100 ლარი თუ მარკა დაჯდა, ჩვენ კი 15 დოლარად გვთავაზობენ იგივეს. დანარჩენი თვითონვე განსაჯეთ. ამაზე ქვეყნის პრეზიდენტსაც მოვახსენე. მის მითითებით ძიებაც დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ჯერაც არ მიუყვანიათ და რას უპირებენ არ ვიცით — ასე დაამთავრა თავისი გამოსვლ ასათიანმა. „ძველი" სფფელების მიერ ახალ სფფ-ს 243000 ლარი ბიუჯეტის ვალი გადმოჰყოლია და თუ შეიძლება გვაპატიეთ ან უკიდურეს შემთხვევაში გვადროვეთო — ერთიც ითხოვა მერაბ ჟორდანიამ, რაზეც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ბიუჯეტის კატასტროფული მდგომარეობის გამო მისგან შეღავათს არავინ უნდა ელოდოს.

ლატარიების საკითხზე კიდევ უფრო მოკლედ ისაუბრეს. კახი ასათიანი ძირითადად „ტოტო-ლოტოს" ბედკრულ იღბალს შეეხო და თქვა, რომ ლატარიაში 5 მილიონი დოლარი ჩადეს ინვესტორებმა და მეტად მცირე პროცენტია ამოღებული — არ შეიძლება, ქვეყანაში ასამდე ლატარია იმართებოდეს, სახელმწიფომ ყველას არ უნდა დართოს ნება — კატეგორიულად განაცხადა ასათიანმა. და იქვე მოიყვანა გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, ამერიკის მაგალითები, სადაც ყველა ლატარია სახელმწიფო კონტროლზეა აყვანილი და სპორტი სწორედ მათი შემოსავლიდან ფინანსდება.

— მე მომიწია საუბარი ბულგარეთის სპორტის მინისტრთან და მან მითხრა, რომ ბულგარული სპორტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ 600-800 ათას დოლარამდე დოტაციას იღებს, დანარჩენს კი ლატარიები აძლევენ მას. ასევე იტალიაში 600 მილიონი დოლარი შემოსავალი აქვს სპორტს ლატარიებიდან. ჩვენც მათი მაგალითი უნდა გადმოვიღოთ — დაასრულა კახი ასათიანმა.

სხდომა შეეხო საფეხბურთო კლუბ „ცხუმის" საკითხსაც. კლუბის საპატიო პრეზიდენტმა გია გვაზავამ მოკლედ ილაპარაკა გუნდის მდგომარეობაზე. მან თქვა, რომ „ცხუმი" 7 ათას ლარად არსებობს მთელი წრის მანძილზე და ენთუზიაზმით კიდევ იარსებებს, თუკი ოდნავი ხელშეწყობა მაინც ექნება — მოგვეცით მინიმუმის მინიმუმი — 35 ათასი დოლარი და მიიღებთ გუნდს, რომელიც მალე იტყვის თავის სიტყვას — ითხოვა გვაზავამ.

ზაზა შენგელია დაინტერესდა, ვის სთხოვდა „ცხუმის"მესვეური ამ თანხას — პრეზიდენტმა იცის ამის შესახებ და ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაიღებს ამ ფულს. თუნდაც პრეზიდენტის ფონდიდან მოგვეცითო — იყო პასუხი. პრეზიდენტის ფონდში ფული არ არის, თვით პრეზიდენტის საშობაო ნაძვის ხის ორგანიზაციაც კი თავისი ჯიბიდან (ანგარიშიდან) დააფინანსა შევარდნაძემო — ასეთი გახლდათ სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პასუხის პასუხი.

სხდომის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვა ზაზა შენგელიამ აიღო და ერთხელაც გაუსვა ხაზი საქართველოს ბიუჯეტის უბადრუკობას (ფინანსთა მინისტრის მოადგილე დაეთანხმა) — ტყუილად ნუ გეიმედებათ ბიუჯეტისა, მას თავისი გასჭირვებია, ფეხბურთს და საერთოდ სპორტს რომ ეშველოს, კანონები უნდა ამოვიყენოთ გვერდში. მოვამზადოთ, შევიტანოთ პარლამენტის სესიაზე კანონები ქველმოქმედების, სპორტული ლატარიის შესახებ და თუ გავიტანთ ჩვენსას, სპორტსაც ეშველება. დღეს, როცა ბიუჯეტიდან სპორტის დეპარტამენტს თავისი ოთხი მილიონი ლარი ვერ მიუღია სრულად, არც ის მილიონ ექვსასი ათასი ლარია რეალური, რომელიც თითქოსდა პირველი ჯგუფის გუნდებს უნდა დაურიგდეთ. კანონით ვებრძოლოთ სიდუხჭირეს და როცა ბიზნესმენი მიხვდება, რომ ქველმოქმედება უფრო იაფი ღირს, ვიდრე ბიუჯეტისთვის გადასახადის გადახდა, იგი აუცილებლად ითანამშრომლებს სპორტთან. როგორმე თებერვლამდე მოამზადეთ სამუშაო პროექტები, მანამდე კიდევ შევხვდეთ და ვითათბიროთ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ. და გაითვალისწინეთ, ამით პრეზიდენტია დაინტერესებული — ასე დაამთავრა ზაზა შენგელიამ.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

„სარბიელის" თანამშრომლები თანაუგრძნობთ ფეხბურთელ ჯუბა ჩუხუას მამის

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲩᲣᲮᲣᲐᲡ

გარდაცვალების გამო




# ᲡᲐᲪᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ახლოვდება საცივის ჟამი.

დროება გადახუხვისა, ბაქში შუბლის ჩამხობისა და შემწვარი გოჭის მსუქანი ნაჭრების მოყირჭებისა.

ათასობით ქართველი სპორტსმენი ძვე ხვდება და ელის ახალ წელიწადს, როგორც ასიათასობით მათი თანამემამულე იმედი გაუმჯობესებისა, საქმის კეთილად და აზრიანად კეთებისა და ჩვენს სპორტშიაც იმგვარადვე საჭირო და სანატრელი, როგორც სამოქალაქო ცხოვრებაში.

თუმცა, „იმედი", ამ შემთხვევაში გაცვეთილი სიტყვაა. უფრო „სურვილი" სჯობს გვსურს, რომ ასე იყოს, მაგრამ ჭერჭერობით არ გამოდის.

ასეა ფეხბურთში, კალათბურთში და ყველაფერში.

ჩვენში უყვართ ხოლმე მედლების თვლა. ჩვენმა სპორტსმენებმა ამდენი მედალი მოიპოვესო. მედლების თვლაში ცუდი არაფერია, მაგრამ მედლების მოგება ბევრად უფრო სასიხარულოა, ვიდრე მათი თვლა. თავისთავად თვლას და ანგარიშით წარდგომას ძველი დროების გეგმების, სოცშეჯიბრის, განპიროვნების, ვალდებულების, მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობის იერი აქვს.

სპორტული გამარჯვებით გამოწვეული სიხარული კი მაინც სხვაა.

ესეც არ იყოს და მსოფლიოში მრავალი განვითარებული ქვეყანაა, რომელთა სპორტსმენებიც წლის ბოლოს არცთუ ბევრი მედლით იწონებენ თავს. მაგრამ მთავარი ამ ქვეყნებში ის არის, რომ სპორტი არსებობს, მოქმედებს და სუნთქავს. ჩემპიონებიც გამოერევიან მაგრამ ძირითადი ისაა, რომ სპორტი სულს კი არ ლაფავს და იმიტომ კი არ ცოცხლობს, რომ წლის ბოლოს მედლების ჩამონათვალი გამოაქვეყნოს, არამედ იმიტომ რომ სპორტია. სპორტი კი სახალხო ამბავში სიჯანსაღეს ნიშნავს.

რამდენს გასწევ შენი ჯანსაღი ცხოვრებით. ჩემპიონობაც ეს არის. ყოველ შემთხვევაში ასე იყო ძველად. დღეს დოპინგობიის და ანაბოლიკების დროებაში ამის შესახებ ლაპარაკი სისულელეა, მაგრამ პროფესიული სპორტიც ხომ სახალხო თამაშობებიდან, სიჯანსაღის სურვილიდან წამოვიდა. იმ კარგ და მშვენიერ ქვეყნებში, პროფესია პროფესიად და სპორტის სახალხო ხასიათი შენარჩუნებულია და ყვავის.

ჩვენთან, ჰგონიათ, რომ მთავარი სპორტში პროფესიონალიზმია და ეს რაიმეში დიდად წაადგება ქვეყანას, რახანღა წლის ბოლოს მედლებს დავითვლით.

რა თქმა უნდა წაადგება. შორეულ მხარეში ჩვენს ჰიმნს დაუკრავენ, მშობელი ხალხი დადებითი ემოციით დაიმუხტება და მთელი ამბავი. მაგრამ მშობელი ხალხი ამით ვერ გაჯანსაღდება, რადგან თავად არ არის სპორტში ჩაბმული. მეტიც, გაიბერება ხოლმე პაპიროსის წევით სტადიონზე. ნაღდი მოყვარული კი, სპორტს მხოლოდ სპორტის სიყვარულით გადევნებული, ნაღდი სპორტსმენი აღარ გვყავს.

ოლიმპიადების მოყვარულობის ხანაში რუსთა წიხლქვეშ გახლდით და ვერთომდა მოყვარულები ვიყავით. სამოყვარულო შეჯიბრებები ახალ დროში საერთოდ აღარ არსებობს. ეგებ ჩვენს სპორტსმენებს სულაც არ ჰქვიათ პროფესიონალები, მაგრამ ნაღდი პროფესიონალები არიან.

ამგვარ პროფესიულ სპორტსაც ძალიან ბევრი რამ აკლია საქართველოში, მაგრამ საქართველოს თუ რამე აკლია, ათასთაგან ერთი — სახალხო სპორტი და ნაღდი, ადამიანური სპორტული სულია.

ჩაივლის საცივის ჟამი და ცხოვრებაც ჩვეულებრივ გაგრძელდება.

საახალწლოდ სურვილების წარმოთქმაა ხოლმე მიღებული.

ამ ჯერზე ჩვენი სურვილი იქნება, რომ ახალი წლიდან გახურდეს მუშაობა სამოყვარულო სპორტის, სახალხო ვარჯიშობის, ალალი შეჯიბრის ასაღორძინებლად.

სპორტის საწყისი ამბავი და არსიც სიჯანსაღე და ალალი შეჯიბრია.

მედლებს და ქვეყნის მიღწევებს ცალკე ადგილი აქვს, სამოყვარულო სპორტის უზარმაზარი ადგილი კი ცარიელია.

ლოხუნგა სიჯანსაღისკენ — საცივის შემდეგ!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა









როგორი იყო 1998 წელი ქართული ფეხბურთისთვის? ვითომ წინანდელზე უკეთესი და მომავალზე უარესი? ეს წელი საქართველოს ნაკრებმა გამარჯვებებით დაიწყო — თებერვალში ახალი მწვრთნელის, ვლადიმერ გუცაევის თაოსნობით მალტის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. მერე იყო ამხანაგური ფრე რუსეთთან და გაჭირვებით მოგება ევროპის ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ციკლის გახსნის მატჩში ალბანეთთან. ამათ ლატვიურ-ბერძნული ფიასკო მოჰყვა. ძველის უძლურობაში დარწმუნებულმა ქართულმა საფეხბურთო სამყარომ ახალი ხელმძღვანელი — მერაბ ჟორდანია აირჩია, რომელმაც მოშლილ მეურნეობას ხელი ჯერ ვერ დაატყო.
ქართველი ლეგიონერებიც ვერვარგოდნენ ძველებურად. წლეულს გასახარი ერთი გვქონდა — ალექსანდრე იაშვილის წარმატებული დებიუტი გერმანულ ბუნდესლიგაში და ზაზა ჯანაშიას კარგი თამაში ევროთასებზე მოსკოვური „ლოკომოტივის" შემადგენლობაში.
1999 წელს წლევანდელისთვის ეჯობნოს, მაგრამ მის მომდევნოზე უარესი ყოფილიყოს!



გოჩა კითიაშვილის ფოტოები



# ჩამოვიტოვოთ პრემიერმინისტრი



სარბიელის არქივიდან

პროფესინალ მსაჯებს იქნებ ქვები აღარ დაუშინონ?

რატომ ირჩევს ადამიანთა ერთი ნაწილი საფეხბურთო მსაჯის პროფესიას? დალაგებულ, ცივილიზებულ ქვეყანაში კიდევ არა უშავს (თუმცა თვით ინგლისშიც გამოვარდება ხოლმე შიგადაშიგ ვინმე დი კანიო და აფეთებს რეფერის), ნაკლებად განვითარებულ და განუვითარებელ ქვეყნებში კი მტრისას ისეთი ამბები ტრიალებს.

ამბობენ ჩამორჩენილ სახელმწიფოებში მსაჯად ის ხალხი მიდის, ვინც მზადაა ერთი კარგი ქრთამის ფასად გინება და პანღურები აიტანოსო.

განვითარებულ ქვეყნებში ქრთამიც იშვიათია და პანღურიც, მაგრამ სირთულეები მაინც არსებობს. მაგალითად პორტუგალიაში, საშობაოდ, მსაჯთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლუიშ გილერმე ჟურნალისტების წინაშე ჩივილით წარსდგა.

„სანამ, მსაჯებს თავს რისხვას დაატეხავენ, ხალხს მეტი დაფიქრება მართებს“ — თქვა გილერმემ — „ვატყობ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ საქმე იქამდე მივა, რომ რომელიმე არბიტრს მოკლავენ და შემდეგ ატყდება წუხილი და ვიშვიში“.

მსაჯის დადანაშაულების ბოლო შემთხვევა ლისაბონის „სპორტინგისა“ და „პორტუს“ შეხვედრის გამო მოხდა. შეხვედრის განმსჯელი ვიტორ პერეირა „პორტუსადმი“ სიმპატიასა და მიკერძოებულ მოქმედებაში შეიქნა ეჭვმიტანილი.

„სპორტინგმა“ ის შეხვედრა 2:3 წააგო. „პორტუმ“ პირველი გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა, თუმცა სატელევიზიო გამეორებებმა გამოამჟღავნეს, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი დორივა ჟუნიორი, რომლის წაქცევის გულისთვისაც პერეირამ ჯარიმა დანიშნა, სინამდვილეში თეატრალურად გაწვა მინდორზე.

ლისაბონელებმა ამ ინციდენტის გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში სარჩელი შეიტანეს და მოითხოვეს, რომ პორტუგალიელმა მსაჯებმა მომავალში საკუთარ შეცდომებზე პასუხი აგონ. „სპორტინგის“ შეფებმა აგრეთვე წამოიწყეს მოძრაობა ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებზე უცხოელი არბიტრების მოსაწვევად.

ამის საპირისპიროდ საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ვალენტინ ლურეირომ მსაჯებს მოუწოდა კლუბების პროტესტებსა და ჩივილში პირად შეურაცხყოფას ნუ დაინახავენ, თუმცა მანვე დასძინა, რომ არბიტრთა საზღვარგარეთიდან მოწვევაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მითუფრო, რომ იქ უცხოეთშიც ხშირია უხეში შეცდომები.

პორტუგალიის მეზობელ ესპანეთში, გასულ სეზონში, გეხსომებათ საქმე სულაც გაფიცვაზე იყო მისული. მიზეზი აქაც მსაჯთა ხშირი შეურაცხყოფა გახლდათ. თავად განსაჯეთ, პრიმერა დივიზიონში რომ ბოიკოტებს და გაფიცვაზე დაიწყებენ ლაპარაკს, ქვედა ლიგებში რა ამბავი იტრიალებს, მაგრამ ცივილიზებული ქვეყანა იმისაა, რომ იქ ხალხს თავიანთი დარგის დახვეწაზე ფიქრი ეხერხება — ესპანელმა არბიტრებმა გამოსავალი მონახეს, ისინი პროფესიონალიზმს ითხოვენ.

პროფესიონალის სტატუსი მსაჯებს უთუოდ გაუიოლებს საქმეს. შეუდარებლად ამაღლდება მათი კვალიფიკაციაც. დავიწყოთ იმით, რომ პროფესიონალ მსაჯს ექნება მაღალი ხელფასი. საუბარია 15-20 მილიონ პესეტაზე, რაც დოლარებში 107-143 ათასია. კაცი რომ წლიურად ამხელა გასამრჯელოს მიიღებს, ეჭვი, რომ ესა თუ ის თამაში მან „შავი ანაზღაურების“ გამო მიკერძოებით ჩაატარა ძალიან მისუსტდება. ან კი რა ფასი უნდა დაედოს თამაშის ჩაწყობას? ვინ იქნება იმხელა ფულის გადამხდელი, კაცი 100 ათასზე მეტს რომ იღებს, დაახარბოს და აუტკივარი თავი აატკიებინოს? ხელფასი, რომელსაც ესპანელი მსაჯები ითხოვენ ქვეყნის პრემიერ მინისტრისაზე მეტია: ხოსე მარია ასნარი წელიწადში 12 მილიონ პესეტას (85 714 დოლარი) გამოდის.

გარდა ამისა მოგვარდება ერთი მოუგვარებელი საკითხიც, რომლის შესახებაც ნათლად თქვა პრიმერა დივიზიონის ცნობილმა არბიტრმა ფერნანდო კარმონა მენდესმა:

„დღევანდელი სტრუქტურით მომავალი სეზონის ჩატარება შეუძლებელი იქნება. ასე ვერც ჩვენს ძირითად საქმიანობას ვართმევთ თავს და ვერც თამაშების განსასჯელად ვასწრებთ მომზადებას“.

ფერნანდო კარმონა მენდესი ვექილი გახლავთ.

ამრიგად, გამოსავალი ნანახია — პროფესიონალიზმი. ერთადერთი პრობლემა დროა, მოესწრება კი მისი დანერგვა მომავალ სეზონამდე?

„ჯერ ბევრი წვრილმანია მოსაგვარებელი, რომელთაც ცხადია მოვაგვარებთ, მაგრამ ამას სამი-ოთხი წელიწადი დაჭირდება“ — განმარტა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის უფროსმა ვიქტორიანო სანჩეს არმინიომ.

# თავისუფლება კატალონიას!



სარბიელის არქივიდან

კატალონია — ნიგერია 5:0. კატალონიელები მორიგ გოლს ზეიმობენ

ესპანეთის სპორტის მინისტრი სანტიაგო ფისასი ასე მსჯელობს:

„არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ჩვენი ქვეყნის რეგიონთა ნაკრებებმა ამხანაგური შეხვედრები რომ ჩაატარონ, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება, ისევე როგრც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ფიფა ალბათ ვერ მოიძიებენ თავიანთ კანონმდებლობაში მუხლებს, რომელთა თანახმად რეგიონებს ესპანეთის ეროვნული გუნდიდან გამოყოფა შეეძლოთ“.

ცხადია რასაც მოჰყვა ესპანელი მინისტრის ეს სიტყვები: სამშაბათს ქვეყნის ოთხი რაიონის საფეხბურთო ნაკრებმა ამხანაგური მატჩები გამართა. თუმცა მათგან ყველაზე დიდი შეშფოთება კატალონიელთა და ნიგერიელთა მატჩმა გამოიწვია. ამ მატჩში კატალონიელებმა 5:0 მოიგეს.

თამაშის დღეს „მონტხუიკის ოლიმპიური სტადიონი“ თითქმის პირთამდე შეივსო და ეროვნული დროშის წითელ-ყვითელი ფერებით შეიმოსა. ტრიბუნებზე გამოფენილ უამრავ პლაკატს დიდი ასოებით სპორტული დამოუკიდებლობის ლოზუნგი ან სულაც „თავისუფლება კატალონიას“ ეწერა.

კატალონიას თავისი გუნდი 1912 წლიდან ჰყავდა ანუ იგი რვა წლით ადრე დაარსდა, ვიდრე თავად ესპანეთის ნაკრები შეიქმნებოდა, მაგრამ სამშაბათს მიღწეული შედეგი 77 წლიან ისტორიაში საუკეთესო იყო.

„ვფიქრობ ჩვენი ეროვნული გუნდი იმ დონისაა ბელგია და შოტლანდია რომ არიან“ — განაცხადა პიჩი ალონსომ, რომელსაც იმ დღეს ნაკრების მწვრთნელობა ხვდა პატივად.

„პრინციპში ეროვნული გუნდების ყოლა სავსებით შესაძლებელია, თუმცა სპორტული სამყარო ძალიან ჭრელია, ფეხბურთის ნაკრების ყოლა სულ სხვა რამ არის ხოლო, ვთქვათ, ბალახის ჰოკეისა, სხვა — ბრძანა კატალონიის პარლამენტის პრეზიდენტმა ხუან რევანტოსმა.




სარბიელის არქივიდან

**ესპანური** პრესა იუწყება, რომ იუგოსლავიის ნაკრებისა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ ახალგაზრდა ფეხბურთელი პერიცა ოგნიენოვიჩი კარიერას ჩემპიონთა თასის მფლობელ მადრიდის „რეალში“ გააგრძელებს. გუშინ ოგნიენოვიჩის პირადი აგენტი ზორან ვეკიჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ წარმომადგენელს შეხვდა, ხოლო ერთი დღით ადრე ციურიხში იუგოსლავიური და ესპანური კლუბების ოფიციალურ დელეგაციებს გაუმართავთ მოლაპარაკება. ამ საკითხთან დაკავშირებით მადრიდელთა ბანაკიდან ჯერ კომენტარი არავის გაუკეთებია, თუმცა დაირხა ხმები, რომ ოგნიენოვიჩის „რეალში“ გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია, მხოლოდ ფეხბურთელის მადრიდში ჩასვლა და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა ყოფილა საჭირო. ესპანურ მხარეს დიდი სურვილი აქვს, ხელშეკრულება 15 იანვრამდე გააფორმოს. „ცრვენა ზვეზდას“ ხელმძღვანელობა ფეხბურთელის სანაცვლოდ 750 მილიონ პესეტას (5,27 მილიონი დოლარი) ითხოვს. ამასთან დაკავშირებით ესპანურ გაზეთებში გაიელვა ინფორმაციამ, რომ „რეალს“ უჯობს, სეზონის ბოლომდე მოიცადოს და ოგნიენოვიჩი, როგორც თავისუფალი აგენტი, ისე დაისაკუთროს. 21 წლის შემტევი ნახევარმცველი მადრიდს უახლოეს დღეებში ეწვევა.

**შოტლანდიის ჩემპიონის გლაზგოს „სელტიკის“ მცველმა ენრიკო ანიონიმ კლუბის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იტალიაში დაბრუნება და კარიერის იქ გაგრძელება სურს. „ტორინოს“ ყოფილი ფეხბურთელი „სელტიკში“ 2 წლის წინ გადავიდა „რომადან“, მაგრამ მიმდინარე სეზონში ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იმყოფებოდა. „დაუყოვნებლივ მინდა, შოტლანდია დავტოვო, რადგან ახალგაზრდა აღარ ვარ და ფეხბურთისთვის ძალიან ცოტა დრო დამრჩა. გლაზგოში თამაშის საშუალებას არ მაძლევენ და ამიტომ აქ ცუდად ვგრძნობ თავს. სატრანსფერო ციებ-ცხელება იტალიაში იანვარში იწყება და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენო“ — აღნიშნა 32 წლის ანიონიმ.**

**იტალიური** „მილანის“ ფრანგი ნახევარმცველის იბრაიმ ბას „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადასვლა შეფერხდა. პრემიერლიგური კლუბის უფროსობამ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მიუხედავად წინასწარი შეთანხმებისა, „ნიუკასლს“ ბას შეძენა აღარ სურს, რადგან მან სამედიცინო შემოწმება „ჩააგდო“. „ძალიან სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე დასრულდა, მაგრამ ბამ სამედიცინო ტესტირება სათანადო დონეზე ვერ გაიარა და ჩვენც უარის თქმა მოგვიხდა. მეორე მხრივ, ეს ამბავი სასიხარულოა, რადგან დაშავებული ფეხბურთელის შეძენაში დიდძალი თანხა ტყუილად არ გადავიხადთ“ — განაცხადა ინგლისური კლუბის ჰოლანდიელმა დამრიგებელმა რუდ გულიტმა. შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლი“ ბას სანაცვლოდ „მილანს“ 5,2 მილიონ გირვანქას (8,71 მილიონი დოლარი) უხდიდა.

**ჩილეს მომავალი წლის ლიბერტადორესის თასის გათამაშებაზე „უნივერსიდად კათოლიკა“ წარმოადგენს, რომელმაც ოთხგუნდიანი პლეი ოფის ფინალში პენალტებით 4:2 მოუგო „უნივერსიდად დე ჩილეს“. მატჩის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა.**

**პარაგვაის** ჩემპიონი 22-ედ „უნივერსიტარიო“ გახდა. ორრაუნდიანი ფინალი ამ კლუბსა და „სპორტინგ კრისტალს“ შორის 3:3 დასრულდა, ხოლო თერთმეტმეტრიანების სერია უკეთ „უნივერსიტარიომ“ შეასრულა.

**ესპანელმა ფეხბურთელმა, მადრიდის „რეალის“ ვეტერანმა მცველმა და კაპიტანმა მანუელ სანჩისმა თავის მშობლიურ კლუბთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. გაისად მთელი 20 წელი შესრულდება, რაც სანჩისი „სამეფო გუნდის“ ღირსებას იცავს და როგორც თავად თქვა, ამასთან დაკავშირებით საგანგებო ზეიმსაც გამართავს. გამოცდილ მცველთან ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე საზოგადოებას „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა ამცნო. 33 წლის სანჩისმა „რეალში“ თამაში 1979 წლის სექტემბერში დაიწყო და მას შემდეგ ამ კლუბის სახელით 484 შეხვედრა გამართა. პრიმერა დივიზიონში ჩატარებული მატჩების რაოდენობის მხრივ „რეალის“ კაპიტანი მესამეა ორი მეკარის — ანდონი სუბისარეტასა და პაკო ბუიოს შემდეგ. ესპანეთის ნაკრებში მანუელ სანჩისს 48-ჯერ უთამაშია.**

**შოტლანდიის** უტიტულოვანესმა კლუბმა „გლაზგო რეინჯერსმა“ საბოლოოდ დაასრულა მოლაპარაკებები გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ მეკარე შტეფან კლოსთან. გერმანელმა ოთხწლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო სატრანსფერო თანხამ 700 ათასი გირვანქა (1,17 მილიონი დოლარი) შეადგინა. „დორტმუნდში მთელი 10 წელი დავყავი, მაგრამ გაირკვა, რომ იქ ახალი გუნდის მშენებლობას იწყებენ და მივხვდი — ჩემი წასვლის დრო მოვიდა“ — აღნიშნა სინანულით კლოსმა, ვინც მთელი კარიერა „ბორუსიაში“ გაატარა და 1997 წელს მის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაშიც იმარჯვა.

**კატალონიაში მდებარე „მონტხუიკის“ სტადიონზე, სადაც ამას წინათ ამხანაგურ მატჩში კატალონიის ნაკრებმა ნიგერიის ეროვნულ გუნდს მოუგო 5:0, შეხვედრის დასრულების შემდეგ სიხარულისგან აღტყინებულ ადგილობრივ გულშემატკივრებს სტადიონისთვის 30 მილიონი პესეტას (210 ათასი დოლარი) ღირებულების ზარალი მიუყენებიათ. საშინელ დღეშია მინდვრის საფარი, სადაც 2000 კატალონიელი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ზეიმობდა თავისიანთა წარმატებას, დამტვრეულია 1000-მდე სკამი. სხვათა შორის, ამ სარბიელზე საშინაო მატჩებს ატარებს ბარსელონური „ესპანიოლი“.**

**ბელგიურმა** „ლომელმა“ თანამდებობიდან გაათავისუფლა გუნდის მთავარი მწვრთნელი ლეო კლისტერსი. ეს მეხუთე ბელგიელი სპეციალისტია, ვისაც მიმდინარე სეზონში უმუშევრად მოუწია დარჩენამ. „მეტად იმედგაცრუებული ვარ, ამას ნამდვილად არ მოველოდი“ — განუცხადა ყოფილმა მცველმა ადგილობრივ გაზეთ „ნიეუვსბლადის“ ჟურნალისტს. დღესდღეობით ბელგიის 18 გუნდიან ჩემპიონატში ბოლო ტურში შინ „მუსკრონთან“ წაგების შემდეგ „ლომელი“ მე-16 ადგილზე იმყოფება. კლისტერსის სავარაუდო შემცვლელად „ლომელის“ ყოფილ თავკაც იოს დაერდენს ასახელებენ.

**ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ბლექბერნ როვერსმა“ პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბარნსლისგან“ 4,25 მილიონ გირვანქად (7,12 მილიონი დოლარი) თავდამსხმელი ეშლი უორდი გადაიბირა. ეს „ბლექბერნის“ ახალდანიშნული თავკაცის ბრაიან კიდის მეორე შენაძენი იქნება ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. დეკემბრის დასაწყისში მან კიტ გილესპის სანაცვლოდ „ნიუკასლ იუნაიტედს“ 2,35 მილიონი გირვანქა ანუ 3,94 მილიონი დოლარი გადაუხადა.**

იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)

საერთო ფართობი 165 კვ.მ 3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი წყალი, გაზი

ფასი შეთანხმებით.
ტელეფონი: 38-70-44

# ასეთ ცხოვრებას მთელი მსოფლიოს ოქროზე არ გავცვლიდი

**ძალიან იშვიათია ყმაწვილკაცი ერთ წელიწადში ყველასთვის ცნობილი გახდეს, კანადელისთვის და შორეული აღმოსავლელისთვის. ინგლისელ ჭაბუკს, მაიკლ ოუენს ნიჭმა და იღბალმა საგანგებო პატივი დასდო, მაგრამ საგანგებო გამოცდის წინაშეც დააყენა: გავა წლები და მასზე ან იმთავითვე ბრწყინავდაო, იტყვიან, ანაც მოიგონებენ, გახსოვთ ოუენი, ერთხელ რომ გაიელვა და გაქრა? ჯერი მასზეა, ჩვენ კი ჟურნალ „ონზიდან“ გადმოქართულებულ ოუენის ინტერვიუს გთავაზობთ.**

**— წარმოიდგენდით, რომ ასეთი ახალგაზრდა მოხვდებოდით ეროვნულ ნაკრებში?**

— გულახდილად რომ ვთქვა, დიახ, წარმოვიდგენდი, რადგან ჩემს შესაძლებლობებში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. ბოლო სეზონის განმავლობაში ვგრძნობდი, რომ ეროვნულ გუნდში თამაშის ძალა შემწევდა. მე გავხდი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვისაც ინგლისის ნაკრებში უთამაშია და, ჩემდა საბედნიეროდ, შემადგენლობაშიც მყარად დავმკვიდრდი.

**— რა განიცადეთ, როდესაც პირველი ბურთი ბურთი გაიტანეთ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მაროკოელთა კარში?**

— ძნელია ამის გადმოცემა. დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როდესაც ტაბლოზე ჩემი გვარი ამოვიკითხე.

**— ყოველი გოლის გატანისას გეუფლებათ ეს გრძნობა?**

— დიახ. ბომბარდირმა არასოდეს უნდა შეწყვიტოს ამაზე ფიქრი, ყოველთვის ოპტიმისტურად უნდა იყოს განწყობილი და უნდა სჯეროდეს, რომ მზად არის იმ ბურთის გასატანად. ყოველ შეხვედრაში, შეიძლება მოთამაშეს ერთხელ მიეცეს ამის გაკეთების საშუალება და ხელიდან არ უნდა გაუშვას ეს შანსი. მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ თამაშში, როცა ერთი ფეხბურთელი მოვატყუე, ვიგრძენი, რომ გოლი უნდა გამეტანა.

**— მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატიდან რომელი გუნდის მეგოლეს დააყენებდით ყველაზე წინ?**

— რამდენიმეს გამოვარჩევდი: რონალდო, არ იყო ჩვეულ ფორმაში, მაგრამ მაინც დაამტკიცა, რომ დიდი ფეხბურთელია. გაბრიელ ბატისტუტა მაღალი კლასის მეგოლეა და ამას იტალიის ჩემპიონატში მისი ბრწყინვალედ თამაშიც მოწმობს. აგრეთვე ალან შირერი, რომელიც კვლავ რჩება ერთ-ერთ საუკეთესოდ.

**— დევიდ ბექემის მოსვლის შემდეგ ინგლისის ნაკრების შუახაზი საგრძნობლად გაძლიერდა...**

— მისი და დევიდ ბეტის მოსვლის შემდეგ ნამდვილად შეიცვალა ნაკრებში რაღაც და, ვფიქრობ, უკეთესობისკენ.

**— რა მოგწონთ დევიდ ბექემის თამაშში?**

— ის მშვენიერი გამთამაშებელია, შესანიშნავად აზროვნებს და იცის, რა დროს მოგცეს პასი.

**— ვინ არის თქვენი იდეალი ფეხბურთში.**

— გარი ლინეკერი, და ამის ორი მიზეზი არსებობს. პირველი ის, რომ იგი ჩემს საყვარელ გუნდში, „ევერტონში“ თამაშობდა, მეორე კი — უამრავი გოლები გაჰქონდა.

**— რა თვისებებია საჭირო იმისთვის, რომ ძალიან დიდი მეგოლე გახდე?**

— ვფიქრობ, გოლის ალღო უნდა გქონდეს. ყველა მეგოლე რაღაცით განსხვავდება ერთმანეთისგან.

**— თამაშის როგორი სტილი მოგწონთ?**

— მე უპირატესობას ვანიჭებ სწრაფ, შემტევ ფეხბურთს, რომელსაც „ლივერპული“ და ინგლისის ნაკრები თამაშობს. ვფიქრობ, ეს ჩემს მანერას შეესაბამება.

**— როგორ შეეწყვეთ ფეხბურთელებს ნაკრებში და როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?**

— გარკვეული პერიოდი დამჭირდა იმისთვის, რათა გუნდში ჩემი ადგილი მეპოვა. ისეთ ადამიანებთან ურთიერთობამ, როგორებიც არიან პოლ ინსი, სტივ მაკმანამანი, დევიდ სიმენი, ტონი ადამსი და ალან შირერი, ძალიან გამიადვილა ნაკრებში თამაში.

**— დღეს ყველა იცნობს მაიკლ ოუენს. ყველაფერი ჩქარა მოხდა...**

— მართალია, ბევრი მიცნობს და ეს ერთდროულად კარგიც არის და ცუდიც. მცველები უფრო დიდ ყურადღებას მაქცევენ. გულახდილად გეტყვით, არ მეგონა, თუ ასე განვითარდებოდა მოვლენები. ბევრს ავიწყდება, რომ მეორე სეზონია, რაც პრემიერლიგაში გამოვდივარ. მხოლოდ 18 წლის ვარ და ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინგლისის ჩემპიონატი ყველაზე „მომთხოვნია“ მსოფლიოში.

**— „ოუენმანიამ“ მოიცვა „ლივერპული“ და მთლიანად ინგლისი...**

— ეს ცოტა უცნაურია. ჩემი თამაში ხალხს ძალიან მოსწონს და სურთ, რაც შეიძლება მეტი გაიგონ ჩემს შესახებ. მეც მომწონს ჩემი ცხოვრება და მსოფლიოს ოქროზე არ გავცვლი მას. სულ ჟრუანტელი მივლის, როცა ქომაგები ჩემს სახელს გაჰყვირიან, ანაც ჩემს შესახვედრად რიგში დგებიან... მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი — მე ხომ პოპვარსკვლავი არ ვარ.

**— „დიდებამ“ ცხოვრება ხომ არ გადაგისხვაფერათ?**

— რეალურად რაც შეიცვალა, ეს მიღებული წერილების რაოდენობაა. ადრე ყოველ მათგანს ვპასუხობდი, მაგრამ ახლა ეს უკვე შეუძლებელია, რადგან აფრიკიდან, ამერიკიდან და შორეული აღმოსავლეთიდანაც კი მწერენ. უმრავლესობა ავტოგრაფს მთხოვს. პატარობისას მეც ძალიან მინდოდა ფეხბურთელების ხელმოწერები მქონოდა და ამიტომ მათი კარგად მესმის. იმედია, მათაც ესმით, რომ ყველას ვერ ვუპასუხებ.

**— მიზნები თქვენი, როგორც ფეხბურთელის...**

— ამ სეზონში „ლივერპულის“ ძირითადში ადგილი შევინარჩუნო, რაც იოლი გასაკეთებელი არაა, რადგან გუნდში ბევრი მაღალი კლასის თავდამსხმელია. მინდა, „ლივერპულისთვის“ ვითამაშო და ბევრი გოლიც გავუტანო მეტოქეებს...

**— ეს რაც შეეხება კლუბს. ინგლისის ნაკრები?**

— მსურს, რაც შეიძლება მეტჯერ მოვირგო ნაკრების მაისური. აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ევრო 2000-ზე, თუმცა ძალიან გაგვიჭირდება.

**— ამ სეზონში „ლივერპულის“ შემადგენლობაში ყველა მატჩში მონაწილეობდით, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშეთ. ცოტა ხომ არ გადაიღალეთ?**

— არა, მსოფლიოს ჩემპიონატის მერე სამკვირიანი არდადეგები მქონდა და ამით აღვიდგინე ძალები.

**— ამ ბოლო დროს ნაკლებად გაგაქვთ გოლები, რაც თქვენს კლუბსაც დაეტყო.**

— ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული, მთლიანად გუნდს აქვს ჩავარდნა. ეს, ალბათ, კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელის წასვლამაც გამოიწვია. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს ყველაფერი დროებითია და მჯერა, „ლივერპული“ იპოვის თავის თამაშს.

**— ყველაზე მეტად რომელ ფეხბურთელთან ისურვებდით თამაშს?**

— დიდ მოთამაშეებთან ერთად უკვე გამოვსულვარ. ახლა მსურს, რონალდოს გვერდით ვითამაშო.

თარგმნა
**ბახა თალაკვაძემ**





მაიკლ ოუენმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინა. ერთი გოლი მან რუმინეთის ნაკრების კარში გაიტანა

# ასპრილიას დაბრუნება

ფაუსტინო ასპრილია მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში კოლუმბიის ნაკრებიდან გარიცხეს, მაგრამ ამ კვირაში კვლავ გამოიძახეს.

სამხრეთ ამერიკელები იანვარში, ამხანაგურ მატჩში, დანიას უნდა შეხვდნენ და ამ შეხვედრისთვის 20 ფეხბურთელს უხმეს. მათთვის დანიელებთან თამაში საფრანგეთი 98-ის შემდეგ პირველი იქნება. პირველი იქნება იგი გუნდის ახალი მწვრთნელისთვის ხავიერ ალვარესისთის და აგრეთვე პირველი იქნება ცნობილი კარლოს ვალდერამას გარეშე — ვეტერანმა გამთამაშებელმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს.

ახლა გავიხსენოთ ასპრილიას გუნდიდან გარიცხვის მიზეზი: მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლუმბიელთა პირველი შეხვედრის მერე იტალიური „პარმას“ მოთამაშემ სასტიკად გააკრიტიკა გუნდის მაშინდელი თავკაცი ერნან დარიო გომესი და ფეხბურთელები.

დანიელებთან თამაშის ჩასატარებლად ალვარესმა მიიწვია ინგლისურ „მიდლსბროში“ გოლების გატანით განთქმული თავდამსხმელი ამილტონ რიკარდი. მიწვეულია ეროვნული პირველობის ბომბარდირი, „დეპორტივო კალის“ ფორვარდი, 37 გოლის ავტორი ვიკტორ ბონილაც.

ალვარესმა არ გამოიძახა მსოფლიოს ჩემპიონატზე კოლუმბიელთა ერთადერთი გოლის ავტორი (კოლუმბია — ტუნისი 1:0), ახალგაზრდა თავდამსხმელი ლიდერ პრესიადო, აგრეთვე ფრედი რინკონი და მეკარე ფარიდ მონდრაგონი.

რინკონის საქმე ასეა: ფეხბურთელი, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ეროვნული გუნდის უცვლელი წევრი იყო, ბრაზილიურ „კორინთიანსში“ წლეულსაც საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ თვლის, რომ ნაკრები ძალიან აწეწილ-დაწეწილია და მასში მონაწილეობის სურვილი არ აქვს.

ყველა მწვრთნელს თავისი საყვარელი ფეხბურთელები ჰყავს. ალვარესისთვის ასეთი ოთხია, პროვინციული „კალდასის“ მოთამაშეები ხორხე სალსედო, ედვინ კონგო, ფრანსისკო ფორონდა და მეკარე ხუან კარლოს ენაო. ეს ფეხბურთელები, ისევე როგორც მთელი „კალდასი“, ალვარესმა კოლუმბიის პირველობაზე მეორე ადგილზე გაიყვანა.

ოთხი მოთამაშე, მარიო ალბერტო იეპესი, ერმან გავირია, არლეი ბეტანკურტი და ზემოხსენებული ბომბარდირი ვიკტორ ბონილა, ჩემპიონის, „დეპორტივო კალის“ წევრები გახლავან.

სამნი არგენტინის ჩემპიონ „ბოკა ხუნიორსში“ თამაშობენ: მაურისიო სერნა, ხორხე ბერმუდესი და მეკარე ოსკარ კორდობა.

კოლუმბიელთა სრული შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ოსკარ კორდობა (ბოკა ხუნიორსი), მიგელ კალერო (ატლეტიკო ნასიონალი) და ხუან კარლოს ენაო (კალდასი)

მცველები — ხორხე ბერმუდესი (ბოკა ხუნიორსი), ფრანსისკო ფორონდა (კალდასი), მარიო ალბერტო იეპესი (დეპორტივო კალი), ივან რამირო კორდობა (სან ლორენსო), ფოად მაზირი (ამერიკა)

ნახევარმცველები — რუბიელ კინტანა (ტულუა), მაურისიო სერნა (ბოკა ხუნიორსი), ერმან გავირია (დეპორტივო კალი), ხორხე ბოლანო (ატლეტიკო ხუნიორი), ხორხე სალსედო (კალდასი), აროლდ ლოსანო (ვალიადოლიდი), ნეიდერ მორანტესი (ამერიკა), არლეი ბეტანკურტი (დეპორტივო კალი)

თავდამსხმელები — ფაუსტინო ასპრილია (პარმა), ვიკტორ ბონილია (დეპორტივო კალი), ამილტონ რიკარდი (მიდლსბრო), ედვინ კონგო (კალდასი)



ფაუსტინო ასპრილია

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

**— ესე იგი, ჩაახუტეს ზიდანს?**

— უკეთესს ვის ჩაახუტებდნენ?

**— მე მაინც იმის მხარეს ვარ, ბიჭის.**

— ბიჭისთვის ჯერ ადრეა. ბიჭის დრო მოვა.

**— რაღა ადრეა, ორჯერ ხომ იყო.**

— მოიცა, შენ რომელ ბიჭზე ამბობ?

**— ბიჭი ერთია, რონალდო.**

— ჰმ...

**— რა, ჰმ?**

— რონალდო რაღა ბიჭია? ბიზონია, ბიჭი კი არა.

**— ბიზონი კარსტენ იანკერია. რონალდო როგორაა ბიზონი?**

— ყოველ შემთხვევაში ბიჭიც არ არის.

**— აბა ვინ არის ბიჭი?**

— შენ კარგად იცი ვინც.

**— ვინ? ვინ?**

— ვინ და ბიჭი, ჩესტერში რომ დაიმალა და ლივერპულში რომ თამაშობს.

**— ეეე...**

— რა, „ე“?

**— ემაგას ხომ გააფუჭებენ.**

— საიდან მოიტანე?

**— დაათრობენ. ისინი ყველას ათრობენ.**

— დაათრობენ, რა არსენაა?

**— არსენა რა შუაშია?**

— არსენაც ეგრე გააფუჭეს. დაათრეს და ხელფეხი შეუკრეს.

**— ყველას ათრობენ.**

— ესე იგი, ოუენი ფარსადან ბოდბისხეველის შვილების ნათლიაა?

**— რონალდო რომ უკეთესია, უარობ?**

— დღეს?

**— არა საერთოდ.**

— საერთოდ, ესე იგი, გუშინ?

**— შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.**

— მე რომ რონალდო ვყოფილიყავი და წელს გამემარჯვა, სირცხვილით სახლიდან არ გამოვიდოდი.

**— და რივალდო.**

— რივალდო რომ ვყოფილიყავი, გამოვიდოდი სახლიდან.

**— აბა, ზიდანი რაღა შუაშია?**

— შუაში კი არა, თავშია. რივალდო ხომ თითქმის ზიდანია, ზიდანი კი თითქმის რივალდო?

**— ვითომ?**

— ვითომ კი არა, ეგრეა.

**— მერე აქედან რა გამოდის?**

— ის გამოდის, რომ ზიდანმა რომ გაიმარჯვა, ერთგვარად რივალდოც გამარჯვებულია.

**— ბარემ რივალდოს გაემარჯვა.**

— არ შეგვჭამეს ამ ბრაზილიელებმა? თითქმის გაგამარჯვებინე, რივალდო გვერდით ამოვიყენე, მეტი რა გინდა?

**— ჟუნინიოს ფეხი არ მოსტეხოდა...**

— ეგრე შმეიხელი რომ ერთი წლით ახალგაზრდა იყოს...

**— რა?**

— რა და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლიგას მოიგებდა.

**— ამით იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ შუკერი დაუმსახურებლად აღაზევეს?**

— შუკერი ვინ არის?

**— ვითომ არ იცის.**

— ვიცოდი ერთ დროს.

**— ახლა...**

— ახლა, კაცს რომ მორიენტესი ამოაგდებს სასტავიდან, მე აღარ ვცნობ.

**— თვითონ მორიენტესიც ამოაგდეს. სავიო...**

— მორიენტესზე დახურდავდი, არა?

**— და გაზა?**

— რა, გაზა?

**— ათი წელიწადია, გაზაზე ხარ დახურდავებული.**

— გაზა არ ხურდავდება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ნიჭი არ ხურდავდება.

**— ეგრე არა.**

— თქვენი წამალია ზიდანი.

**— წამალი?**

— თავით, თავით, ფეხი არც გაუჩნევია.

# საქართველოს ყველა

# სარბიელის

„სარბიელის“ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 837-მა მკითხველმა, ამათგან ორის ანკეტა ორჯერ მივიღეთ, მაგრამ შედეგებში მათი მხოლოდ თითო ვარიანტია შეტანილი. დაგვიანებით, მაშინ, როცა კონკურსის შედეგები შეჯამებული იყო, კიდევ ჩვიდმეტი მკითხველის წერილი მოვიდა, მაგრამ მათი გათვალისწინება აღარ მოხერხდა. მადლობას მოვახსენებთ კონკურსის ყველა მონაწილეს და მათაც, ვინც, სამწუხაროდ, ბარათის გამოგზავნა დააგვიანა: თბილისელებს — გურამ ლონლაძეს, თამაზ ბალახაშვილს, გოჩა სხირტლაძეს, ლევან ნავროზაშვილს, პაატა ჯოხაძეს, მამუკა თასოშვილს, რუსთაველ დავით მათეშვილს, ქუთაისელებს — ტარიელ და ამირან ძონენიძეებს, სერგო ცაგარეიშვილს, სამტრედიელებს — ზვიად, ზურაბ, ოთარ, ლამარა, სოფიკო სტურუებს და ზაზა ვაშაკიძეს, ჭიათურელ ბუხუტი დვალაშვილს.

## ფეხბურთელი

| № | სახელი გვარი | I | II | III | IV | V | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხეილ მესხი | 199 | 263 | 119 | 101 | 46 | 2652 |
| 2 | ბორის პაიჭაძე | 328 | 131 | 82 | 57 | 33 | 2557 |
| 3 | სლავა მეტრეველი | 53 | 111 | 249 | 142 | 64 | 1804 |
| 4 | დავით ყიფიანი | 58 | 44 | 89 | 147 | 172 | 1199 |
| 5 | მურთაზ ხურცილავა | 41 | 63 | 68 | 96 | 115 | 968 |
| 6 | ავთანდილ ღოღობერიძე | 3 | 114 | 53 | 67 | 77 | 841 |
| 7 | მანუჩარ მაჩაიძე | 92 | 9 | 9 | 17 | 14 | 571 |
| 8 | ალექსანდრე ჩივაძე | 12 | 21 | 40 | 48 | 67 | 427 |
| 9 | რამაზ შენგელია | 25 | 10 | 6 | 15 | 32 | 245 |
| 10 | ვიტალი დარასელია | 1 | 7 | 26 | 40 | 53 | 244 |
| 11 | შოთა იამანიძე | 3 | 8 | 16 | 29 | 26 | 179 |
| 12 | ვლადიმერ გუცაევი | 3 | 10 | 10 | 8 | 21 | 122 |
| 13 | გიორგი ქინქლაძე | 7 | 5 | 9 | 7 | 14 | 110 |
| 14 | რევაზ ძოძუაშვილი | 0 | 11 | 10 | 4 | 10 | 92 |
| 15 | ვლადიმერ ბარქაია | 1 | 2 | 2 | 9 | 6 | 43 |
| 16 | გაიოზ ჯეჯელავა | 1 | 2 | 6 | 2 | 8 | 43 |
| 17 | სერგო კოტრიკაძე | 4 | 2 | 3 | 1 | 3 | 42 |
| 18 | შოთა არველაძე | 0 | 3 | 1 | 6 | 13 | 40 |
| 19 | გივი ჩოხელი | 0 | 2 | 4 | 2 | 10 | 34 |
| 20 | თემურ ქეცბაია | 1 | 1 | 2 | 4 | 9 | 32 |
| 21 | გიორგი სიჭინავა | 0 | 3 | 3 | 1 | 6 | 29 |
| 22 | ილია დათუნაშვილი | 0 | 1 | 4 | 3 | 2 | 24 |
| 23 | თენგიზ სულაქველიძე | 0 | 0 | 1 | 8 | 3 | 22 |
| 24 | ბორის სიჭინავა | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 15 |
| 25 | რევაზ ჩელებაძე | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 14 |
| 26 | გელა კეტაშვილი | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 11 |
| 27 | დავით მუჯირი (უმცროსი) | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 |
| 28 | გოჩა ჯამარაული | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 10 |
| 29 | ზაურ კალოევი | 0 | 0 | 2 | 1 | 2 | 10 |
| 30 | გივი დიდავა | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 8 |
| 31 | ოთარ გაბელია | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 6 |
| 32 | თამაზ კოსტავა | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 6 |
| 33 | კახი ცხადაძე | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 6 |
| 34 | ვალტერ გუჩუა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 35 | ირაკლი ზოიძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 36 | ნიკოლოზ ტოგონიძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| 37 | ზაზა რევიშვილი | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 5 |
| 38 | ავთანდილ ჭკუასელი | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 5 |
| 39 | მიხეილ აშვეთია | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| 40 | დავით გოგია | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| 41 | დავით მუჯირი (უფროსი) | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| 42 | ნიაზ ძიაპშპა | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| 43 | კახი ასათიანი | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 4 |
| 44 | რატი ალექსიძე | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 45 | არჩილ არველაძე | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 46 | ალექსანდრე იაშვილი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 47 | ფირუზ კანთელაძე | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 48 | დიმიტრი კუდინოვი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 49 | გიორგი ნემსაძე | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| 50 | გურამ პეტრიაშვილი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| 51 | შოთა შავგულიძე | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| 52 | სერგო შუდრა | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| 53 | ვახტანგ ქორიძე | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| 54 | დავით ყანდარელი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| 55 | შოთა ხინჩაგაშვილი | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |
| 56 | ზაზა ჯანაშია | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 |
| 57 | მიხეილ ბერძენიშვილი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 58 | დავით გვარამაძე | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 59 | ალექსანდრე დოროხოვი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 60 | ანზორ კავაზაშვილი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 61 | გოჩა მაჩაიძე | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 62 | ლევან ნოდია | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 63 | უშანგი რუხაძე | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 64 | მამუკა ფანცულაია | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| 65 | ჯონი ჯაგიდისი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |


მიხეილ მესხი


ბორის პაიჭაძე


სლავა მეტრეველი


დავით ყიფიანი


მურთაზ ხურცილავა

## მეკარე


ნოდარ ახალკაცი


ანდრო ჟორდანია


ანატოლი ნორაკიძე

| № | სახელი გვარი | I | II | III | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოდარ ახალკაცი | 390 | 292 | 65 | 1819 |
| 2 | ანდრო ჟორდანია | 316 | 264 | 81 | 1557 |
| 3 | ანატოლი ნორაკიძე | 30 | 80 | 282 | 532 |
| 4 | გავრილ კაჩალინი | 37 | 65 | 82 | 323 |
| 5 | რევაზ ძოძუაშვილი | 19 | 42 | 144 | 285 |
| 6 | მიხეილ იაკუშინი | 12 | 32 | 46 | 146 |
| 7 | თემურ მახარაძე | 17 | 23 | 14 | 111 |
| 8 | ვლადიმერ გუცაევი | 4 | 6 | 28 | 52 |
| 9 | დავით ყიფიანი | 2 | 6 | 17 | 35 |
| 10 | შალვა კაკაბაძე | 1 | 8 | 4 | 23 |
| 11 | მურთაზ ხურცილავა | 3 | 1 | 4 | 15 |
| 12 | ვიაჩესლავ სოლოვიოვი | 2 | 2 | 4 | 14 |
| 13 | ალექსანდრე კოტრიკაძე | 0 | 1 | 10 | 12 |
| 14 | გივი ნოდია | 0 | 0 | 12 | 12 |
| 15 | უშანგი სალდაძე | 0 | 3 | 4 | 10 |
| 16 | ჯონი ჯანელიძე | 1 | 1 | 1 | 6 |
| 17 | ვლადიმერ ელოშვილი | 0 | 0 | 6 | 6 |
| 18 | ნესტორ ჩხატარაშვილი | 0 | 1 | 3 | 5 |
| 19 | გაიოზ დარსაძე | 1 | 0 | 1 | 4 |
| 20 | შოთა ესებუა | 1 | 0 | 1 | 4 |
| 21 | სოსო ფილია | 0 | 2 | 0 | 4 |
| 22 | მიხეილ ბუტუსოვი | 0 | 0 | 4 | 4 |
| 23 | კახი ასათიანი | 1 | 0 | 0 | 3 |
| 24 | სოსო ფრუიძე | 0 | 1 | 0 | 2 |
| 25 | დიმიტრი რამიშვილი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 26 | ალექსანდრე ჩივაძე | 0 | 0 | 2 | 2 |
| 27 | შოთა ჭეიშვილი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 28 | კარლო ხურციძე | 0 | 0 | 2 | 2 |
| 29 | რევაზ გაგუა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 30 | ელგუჯა გუგუშვილი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 31 | გერმან ზონინი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 32 | გიორგი კვირიკაშვილი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 33 | ჟიულ ლიმბეკი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 34 | ილია ლობჟანიძე | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35 | გოგი მამალაძე | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36 | გივი ფირცხალავა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 37 | სოსო ჭედია | 0 | 0 | 1 | 1 |

# დროის საუკეთესონი მკითხველთა აზრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიმბოლური ნაკრები



სერგო კოტრიკაძე



რევაზ ძოძუაშვილი



ალექსანდრე ჩივაძე



მურთაზ ხურცილავა



გივი ჩოხელი

| | | |
|---|---|---|
| 1 | სერგო კოტრიკაძე | 423 |
| 2 | რევაზ ძოძუაშვილი | 587 |
| 3 | ალექსანდრე ჩივაძე | 724 |
| 4 | მურთაზ ხურცილავა | 764 |
| 5 | გივი ჩოხელი | 484 |
| 6 | ვიტალი დარასელია | 483 |
| 7 | ავთანდილ ღოლობერიძე | 368 |
| 8 | სლავა მეტრეველი | 678 |
| 9 | ბორის პაიჭაძე | 585 |
| 10 | დავით ყიფიანი | 644 |
| 11 | მიხეილ მესხი | 762 |

საქართველოს ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში 837-მა მკითხველმა 148 ფეხბურთელი დაასახელა. საუკეთესო თერთმეტეული ასე გამოიყურება



ავთანდილ ღოღობერიძე

საუკეთესო თერთმეტეულის გარდა კიდევ 12 ფეხბურთელს ერგო 50-ზე მეტი ხმა, რომელთაგან პირველი თერთმეტი, ფაქტობრივად, მეორე ნაკრებს შეადგენს

| | |
|---|---|
| შოთა იამანიძე | 327 |
| მანუჩარ მაჩაიძე | 276 |
| გიორგი სიჭინავა | 190 |
| თენგიზ სულაქველიძე | 187 |
| ოთარ გაბელია | 154 |
| რამაზ შენგელია | 137 |
| შოთა ხინჩაგაშვილი | 126 |
| ვლადიმერ გუცაევი | 117 |
| ვლადიმერ ელოშვილი | 90 |
| გიორგი ქინქლაძე | 82 |
| თამაზ კოსტავა | 73 |
| ანზორ კავაზაშვილი | 56 |



დავით ყიფიანი



ვიტალი დარასელია



სლავა მეტრეველი



ბორის პაიჭაძე



მიხეილ მესხი

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტოები







# ქართული სპორტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმატება: ძალოსანი

# გიორგი ასანიძე

## მსოფლიოს რეკორდსმენია












# სარბიელი '98

რეპორტაჟები:
ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადიდან და საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატიდან







# სარბიელი '99

რეპორტაჟები:
ჩემპიონთა ლიგის ფინალი ბარსელონადან;
საქართველოს ეროვნული ნაკრების და ევროთასების მონაწილე ქართული კლუბების მატჩები



# ელ კაპიტანი და იმისი „ნოსი“ გაგვიგონია, ეს „ვოსტოჩნი“ კი რაღაა?!

**როცა ჩვენმა მთამსვლელებმა ბიძინა გუჯაბიძემ, გელა ოთარაშვილმა და ბენო ქაშაკაშვილმა თავიანთ ძველ ნაცნობთან, ამერიკაში დროებით მცხოვრებ უკრაინელ ოლეგ ოშეროვთან ერთად კალიფორნიაში ელ კაპიტანის მასივზე ურთულესი მარშრუტი გაიარეს, ეს ამბავი თავის დროზე გაუწყეთ. მერე იყო ამ ასვლის დსთ-ს პირველობაზე წარდგენა, ჟიურის გადაწყვეტილების ხანგრძლივი მოლოდინი და ვერცხლის მედლები, რაც გუშინდელ „სარბიელში“ გაცნობეთ.**


გელა ოთარაშვილი, ბენო ქაშაკაშვილი და ბიძინა გუჯაბიძე

როცა ჟიურის გადაწყვეტილება შეიტყო, ბენო ქაშაკაშვილმა გვითხრა, ჩვენ ისეთი რთული მარშრუტი გავიარეთ, მეგონა ამას „ოქროდ“ შეგვიფასებდნენ, მაგრამ არც ვერცხლით ვარ უკმაყოფილოო. იგივე გაიმეორა გელა ოთარაშვილმაც, რომელმაც დასძინა, ეტყობა, ჩემპიონებმა მართლაც სადღაც რაღაც იმედნად რთული გზა გაიარეს, რომ ელ კაპიტანის მარშრუტს აჯობა, თორემ ოქროს ტყუილად ხომ არ მისცემდნენო.

იმის გასარკვევად, თუ ჩვენს ბიჭებსა და მათ მიერ გავლილ გზას ვინ და რომელმა მარშრუტმა აჯობა, გელა ოთარაშვილთან ერთად გუშინწინ მოსკოვში, რუსეთის მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტ ვალერი შატაევთან დავრეკეთ. როგორც მან გვითხრა, პირველობა მიუნიჭებიათ კრასნოიარსკელ მთამსვლელთა ოთხკაციანი ჯგუფისთვის, რომელსაც ბალეზინის მეთაურობით მწვერვალ „ვოსტოჩნიზე“ პირველასვლა განუხორციელებია მე-6ᵃ კატეგორიის მარშრუტით, მესამე ადგილი „ადმირალ გეეცზე“ იმავე სირთულის გზით ამსვლელი ალმაათელებისთვის მიუკუთვნებიათ.

ეს რომ ოთარაშვილმა მოისმინა, შეიცხადა, ეს „ვოსტოჩნი“ რაღაა და სადღაა. ის თუ მეექვსე კატეგორიის სირთულისაა, მაშ ელ კაპიტნის სირთულის საზომი საერთოდ არ მიესადაგება და ნაღდად დაგვჩაგრესო.

განმარტებისთვის ვიტყვით, რომ მე-6 კატეგორია უმაღლესი სირთულის მარშრუტს ენიჭება, საკონკურსო ლაშქრობებში კი უპირატესობა ეძლევა პირველასვლას, რაც „ვოსტოჩნიზე“ განუხორციელებიათ კიდეც. როცა ამგვარ უპირატესობაზე მიდგება საქმე, ამგარი პრიორიტეტი მაშინ ეძლევა ამა თუ იმ მარშრუტს, როცა ორივე გზა ერთნაირი სირთულისაა, ან პირველასვლა გამეორებულისას სირთულით ერთი საფეხურით ჩამორჩება. ასეთ შემთხვევაში „ვოსტოჩნიზე“ გაკვალული „ბილიკი“ მე-5ᵇ კატეგორიისაა მაინც უნდა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, „ვოსტოჩნის“ ასავალ-დასავლისას ვერც ჩვენ მოგახსენებთ რამეს, ელ კაპიტანი კი მთელ მსოფლიოში ფრიად სახელგანთქმული კლდოვანი მასივია და ტექნიკურ კლასში მთამსვლელთა ერთ-ერთ უდიდეს საჯილდაო ქვად ითვლება.

ელ კაპიტანზე სულ სამი მარშრუტია გაკვალული. ცენტრში გამავალს, რომელიც ყველაზე გრძელი, 1200 მეტრი სიმაღლისაა, „ნოსი“ ჰქვია, მაგრამ რუსულ „ნოსთან“ რაიმე კავშირი აქვს თუ დამთხვევაა, ამას ვერ გეტყვით. „ნოსის“ მარცხნივ გამავალ გზას „სალტ“ ჰქვია, მარჯვნივ ამავალს კი „შილდ“. ჩვენი მთამსვლელები „ნოსზე“ ავიდნენ. როგორც მათ გვითხრეს, ამ მარშრუტებს შორის განსხვავება მხოლოდ სიმაღლეშია. მომავალმა „ვერცხლის“ ბიჭებმა „ნოსზე“ ასვლა უთენია რომ დაიწყეს, მესამე საღამოს 5 საათზე კენწეროს თავზე მოექცნენ.

— ღამეს კლდეზე მიბმულნი ერთი ციდა „თაროებზე“ ვათენებდით — იხსენებს გელა ოთარაშვილი — ასეთი ადგილები სულ ორგან შეგვხვდა. ერთი ღამე ორ-ორმა თითო თაროზე გავატარეთ, მეორე ღამეს კი სამნი ერთად დავეტიეთ, ბენოს კი ჩვენგან 10 მეტრის ქვემოთ მარტო მოუწია ყოფნამ. „ნოსზე“ მარშრუტი მთლად ფრიალო კლდეზე გადიოდა. რა სიმაღლეზე და მონაკვეთზეც არ უნდა ვყოფილიყავით, კლდის ძირი მუდამ ჩანდა. სხვა ბარგთან ერთად მივათრევდით 40 ლიტრ სასმელ წყალს. პალოები და მისთანები არ გამოგვიყენებია და საერთოდ არც წაგვილია. მასპინძლები ამას ყველა ამსვლელს სთხოვენ, რათა ბუნება დაიცვან და კლდე რკინეულობით არ მოჭედონ. ჩვენ ვიყენებდით ხელოვნურ საყრდენებს, ნაპრალებში რომ იჭედება და ფრენდებს უწოდებენ. ამასთან, ყოველი თოკის გავლის მერე სტაციონალური დაცვის სისტემებია. სულ 34 დაცვის წერტილია. ჩვენ უშბაზე, ჩატინზე და ტექნიკურად სხვა ურთულეს მწვერვალებზე სხვადასხვა მარშრუტებით ავსულვართ, მაგრამ ასეთი ტექნიკური სირთულე არსად შეგვხვედრია. ჩვენს ბედად ელ კაპიტანზე ასვლას მშვენიერი ამინდი დაემთხვა. მოღრუბლული იყო და ზომიერი ქარი ქროდა.

ასე იყო თუ ისე, ქართველმა მთამსვლელებმა ამ ასვლის სპონსორებს შვეიცარიის ავიაკომპანია SWIsair-ის თბილისურ წარმომადგენლებსა და თბილკრედიტბანკს ამაგი დაუფასეს. პირველმა ამერიკაში გადაფრენა-გადმოფრენა უზრუნველყო, მეორემ კი იქ ცხოვრების ხარჯები გაიღო, ამ საქმის ორგანიაციული უზრუნველყოფა კი ალპინდუსტრიამ იკისრა.

**ავთანდილ ჭყუიშელი**

გელა ოთარაშვილის ფოტოები


ელ კაპიტანის კედელზე








## თხილამურებით მთაში

კარგა ხანია, სპორტული ლიტერატურით აღარ გვანებივრებენ. თუმცა წიგნის თაროზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდება სიახლე, იმასაც იშვიათად თუ ჰყავს მკითხველი, უფრო სწორედ, მყიდველი, რადგან დღეს კაცი სულიერ საზრდოზე კი არა, კუჭზე ფიქრობს.

და მაინც, სპორტული ლიტერატურის მოყვარულთ ვურჩევთ შეიძინონ გოგი თოფაძისა და ჯუმბერ ხანთაძის წიგნი „თხილამურებით მთაში“. როგორც მის ანოტაციაში ვკითხულობთ, „წიგნი განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის, თუმცაღა შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს ფართო საზოგადოებისთვის.“

წიგნში მოთხრობილია მსოფლიოში და საქართველოში სამთო თხილამურების წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე. მკითხველი ბევრ საინტერესოს შეიტყობს ბაკურიანზე, გუდაურზე, კავკასიონის მთებზე, მათ მომავალზე. წიგნი უთუოდ დააინტერესებს მთამსვლელობის მოყვარულებს, სათავგადასავლო თუ გეოგრაფიული ლიტერატურით დაინტერესებულთაც.

მოვიშველიებთ წიგნის (რედაქტორი ზაზა ჭილაძე) რეცენზენტ დავით ჯავახიშვილს სიტყვებს:

„გულწრფელი სიყვარულით დაწერილი ეს საინტერესო წიგნი ღირებულია არამხოლოდ როგორც სპორტის ერთ-ერთი უმშვენიერესი სახეობის ისტორიის პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა, არამედ — როგორც დიდად სასარგებლო, აღმზრდელობითი მნიშვნელობის საყმაწვილო სახელმძღვანელო, მდიდარი მისაბაძი მაგალითებით სახელგანთქმულ სპორტსმენთა თუ სხვა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან.

წიგნის პათოსი შორს სცილდება სამთო-სათხილამურო სპორტის პრობლემათა წრეს და მოიცავს აგრეთვე ტურიზმისა და ალპინიზმის თემატიკასაც, განხილულს ქვეყნისთვის უდიდესი პრაქტიკული სარგებლიანობის თვალსაზრისით.

„შეიძლება ყველაფერი ისე ვერ აღვწერეთ, როგორც ეს თქვენს ფაქიზ გემოვნებას ეკადრება, მაგრამ იმედი გვაქვს, მხედველობაში მიიღებთ იმასაც, რომ ჩვენ, ამ წიგნის ავტორები, არა ვართ პროფესიონალი ლიტერატორები, თუმცაღა ღმერთია მოწმე, მონდომება და სიყვარული არ დაგვიშურებია ამ საქმისთვის“, — მოკრძალებით წერენ წიგნის ავტორები, მაგრამ ისინი მშვენიერი, გამართული ქართულით, მეტად საინტერესოდ მოგვითხრობენ ნაირგვარ ამბებს, რაც კალეიდოსკოპურად იცვლება.

თავებად, ქვეთავებად და დანართებით დაწერილი ამ წიგნის გამოცემა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი არის პირველი სერიოზული ცდა თხილამურების განვითარების ისტორიაზე.

იმის გასაგებად, თუ რაოდენ დიდი შრომა გაუწევიათ ამ 270 გვერდიანი წიგნის ავტორებს, ვიტყვით, რომ მათ უსარგებლიათ ავსტრიელ, ფრანგ, იტალიელ, რუს და ქართველ ავტორთა, მათ შორის მთამსვლელთა პუბლიკაციებითაც. წიგნისთვის გამოყენებულ ლიტერატურაში მრავალი ავტორის 27 პუბლიკაციაა ჩამოთვლილი.

ამასთან, წიგნი უხვადაა ილუსტრირებული როგორც ძველი, აწ უკვე ისტორიული სურათებით, ისე თანამედროვე ფოტოებით.

**ავთანდილ გურასაშვილი**

# მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ოცდამეექვსე

# თეოფილო, „მედალა ორო“

**ყველაფერი ბილ იეზიმ გვიამბო. ბილი ფილადელფიელია და იმ იშვიათ ამერიკელთა გუნდის წევრია, ჰავანა რომ ვერაფრით დაივიწყეს. ჩვენ შორის ატეხილი დავის მიუხედავად, მან ბოლო ოცდაათ წელიწადში ოთხჯერ მოახერხა კუბაზე ჩასვლა და იქედან შთაბეჭდილებებით სავსე რვეულები, ჯერაც გაუმჟღავნებელი ფოტოფირები და „კინტეროს“ სიგარების, ნამდვილი კუბური სიგარების კოლოფები ჩამოიტანა.**

ბილისთვის არასოდეს მიკითხავს, რამ შეაყვარა ასე ჰავანა და კუბელები. მასში რომ რევოლუციური და მარქსისტული არაფერი იყო, ისედაც ვიცოდი. ვამბობდი, ბოლოსდაბოლოს, უცხო ქვეყნებში ხეტიალი, ჟურნალისტის მოვალეობაა-მეთქი. მაგრამ ბილი ხომ თავისუფალი საკრივო ჟურნალისტია და საწერი ამერიკაშიც იმდენი გამოუჩნდებოდა, რომ ერთი კაცი ვერც კი აუვა.

ამიტომ, აქ კუბასა და იქაურ კრივზე უფრო უნდა ვიფიქროთ, ვიდრე მაინცდამაინც ჰავანის ვერდავიწყებასა და სიყვარულზე. ბილ იეზის არ უყვარს და დიდად არც ეხერხება თავისი მისწრაფებების მიზეზების გამო ლაპარაკი, მას უფრო ამბების თხრობა მოსწონს და სწორედ ამ დროს გაიყიდება ხოლმე — მისი სიყვარული კუბური კრივია, ძველი და მადლიანი სანახაობა.

ჩვენთან, ამერიკაში დიახაც გვხვდებიან კუბური წარმოშობის მოკრივენი, თავიანთ მიწას მარქსიზმის, ან სხვა მიზეზის გამო მოწყვეტილი მებრძოლები, რომლებსაც სწორედ რომ განთქმული კუბური სტილით გამორჩეთ.

თავად კუბაზე კი პროფესიონალები არ არსებობენ. რაც ფიდელ კასტრომ საჭე სიწითლეზე დაიჭირა, აქ ყველაფერში საბჭოთა სისტემა გამეფდა. კრივი მხოლოდ სამოყვარულო შეიქნა, მაგრამ დიდმა კრივმა კასტროს ქვეყანაში თავი ვერ დამალა. სამრაუნდიან ბრძოლებში კუბელები უძლიერესებად იქცნენ მსოფლიოში.

მე კი ისევ ბილ იეზის მოგზაურობას დავუბრუნდები. ამ ჯერზე ბილმა ლეგენდა მოინახულა და ეს საქმე ორმოცდაათ დოლარად და ერთ ბოთლ რომად მოახერხა. ორმოცდაათ დოლარად, სერ! ორმოცდაათ დოლარად ტაქსი არ გაგატარებს ბროდვეის ერთი ბოლოდან მეორესკენ. ლეგენდა ნამდვილი მარქსისტია, ფიდელ კასტროს ხოტბას ასხამს და ალალად ამბობს, ჩვენი ქვეყნის წყობილება საუკეთესოა მსოფლიოშიო.

მაგრამ ის ლეგენდაა და კრივის ისტორიის ერთ-ერთი ვარსკვლავი. მოყვარული, რომელიც დიდ პროფესიონალთა შორისაც დადგება. თეოფილო სტივენსონი, კუბის უპოპულარულესი კაცი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელსაც 70-იან და 80-იან წლებში მილიონებს ალუთქვამდნენ, ოღონდ კი ყურე გადმოეცურა და პროფესიონალი მძიმეწონოსანი გამხდარიყო.

უარობდა, მეო, მოყვარული ვარო, ჯარის ოფიცერიო, პროფესიული სპორტი იმპერიალისტების მოგონილიაო.

მერე სთავაზობდნენ, არ გვინდა შენი პროფესიონალობა, ერთს რომელსამე ბრძოლაში შეხვდი მუჰამედ ალის, რომელიმე სპინქსს, ან ლარი ჰოლმსსო. თეოფილოს ძალიან დიდ ფულს სთავაზობდნენ, ის კი მარქსზე, სოციალისტურ დემოკრატიასა და ფიდელზე ლაპარაკობდა, თუმცა ბრძოლაზე უარი არ უთქვამს.

ბილ იეზი რომ ინტერვიუზე შეუთანხმდა, სტივენსონმა შინ მიიწვია. შენივე წამოღებული რომი დავლიოთ და ასე ვიჭუკჭუკოთო. მერე, საუბრისას ხშირად უმეორებდა, ერთი და იგივეს ორჯერ, ნუ მეკითხები, მთვრალი კი არა ვარო.

იეზის უამრავი შეკითხვა დაგროვებოდა და რომის კუბურ წესზე მსმელი შემთვრალივო კიდეც. თუმცაო, ასე გვიამბობდა, ორჯერ არაფერი მიკითხავს, უბრალოდ, ბევრს ვეკითხებოდი და თვითონ აებნა თავგზაო.

თეოფილო ცოლთან, ფრეიმარისთან ერთად უჯდა მაგიდას.

კუბელები ლამაზი და ეშხიანი ხალხია.

თეოფილო უკვე ორმოცდაექვსი წლისა მოყრილა, მაგრამ სპორტული იერი შენარჩუნებული აქვს, ვის გავს და ჯანმრთელ მუჰამედ ალის. ბილმა თქვა, უკეთესს ვერავის შეადარებ და არც არის საჭიროო.

ბილი ეკითხებოდა: როდის გახდებიან კუბელები პროფესიონალები? რას იტყვის „თავისუფლების გუნდზე“, ანუ იმ თერთმეტ მოკრივეზე, ამერიკაში რომ გაიქცნენ? მოერეოდა ევანდერ ჰოლიფილდს? ტაისონს? რას იტყვის ემბარგოზე, კუბის ბლოკადაზე?

ამგვარ კითხვებზე პასუხი გაუჭირდებოდა კაცს, რომელსაც ლატაკი ქვეყნის მოქალაქის პირობაზე კარგი სამსახური, საუცხოო ბინა და მანქანა აქვს,



კუბის წარჩინებული ოჯახი: დედა ფრეიმარისი, მამა თეოფილო, პატარა დავიდი და ქალიშვილი ელმისი

მთელს მსოფლიოში მოგზაურობს და ოჯახსაც შეჰხარის. თუმცა, ის პასუხობდა რევოლუციაში ჩაბმული კაცის სიტყვებით, ყოველივე რაც ცუდია, კაპიტალიზმისგან მოდისო.

თეოფილო ფიდელ კასტროს საყვარელი სპორტსმენია. ხოლო ფიდელ კასტრო, თეოფილოს საყვარელი კომანდანტე. ამ გაზაფხულზე ერთ-ერთ ტელეინტერვიუში უკითხათ, თეო, რა მარჯვენა გაქვს ასეთი, რომ ოც წელიწადს მოდუნების არაფერი შეტყობიაო. სტივენსონს ფილოსოფიურად მოუგია, ამ მარჯვენას მოქანცვის უფლება არც ახლა აქვს, რადგან რევოლუციის მონაპოვარს და მის მეთაურს იცავსო.

აბა, ასეთ კაცთან რამდენ ხანს უნდა ილაპარაკო? დიდხანს ვერც გაჩერდები, მაგრამ როცა საქმე კრივს მიადგება, გათენებაც კი მოგიწევს.

სიფრთხილე ასეთი სახელგანთქმული კაცისთვის არ არის უცხო რევოლუციური მარჯვენა იქეთ იყოს და ზედმეტი ლუკმა ადამიანს არ დაახრჩობს. ბილი ახალი მისული იყო ინტერვიუზე, სტივენსონმა რომ უთხრა, გასამრჯელო ახლავე მომეციო. გვარიანად უვაჭრიათ, დიდ ჩემპიონს ასსამოცდათხუთმეტი დოლარი მოუთხოვია, მაგრამ მალევე ჩამოსულა ორმოცდაათზე. ბილს მხოლოდ ასდოლარიანები ჰქონია და თეოს თავად დაუხურდავებია. მაგრამ ეს საუბრის ბოლოს იყო, როცა ბილი უკვე სადარბაზოს კართან იდგა და ჰონორარის შენარჩუნებას აპირებდა.

თან, თურმე სულ იმეორებდა, ფული ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, მე ხალხიდან გამოსული კაცი ვარო.

ისეო, ბილი ამბობდა, მის სახლში ყველაფერი სადა და უბრალო იყოო. თავადაც სადად, სპორტულად იყო ჩაცმული და ოქრო არსად უბრჭყვინავდა. ჩვენს გონებაში ალბეჭდილი კუბელები ოქროს სამაჯურებით, ყელსაბამებით და ბეჭდებით გამოირჩევიან. თეოფილოს სამკაულები არა აქვს, მას ვაჟკაცობის და კაი ბიჭობის სხვაგვარი საზომი უპოვნია.

„მე არა ვარ ვილაც ხუთდოლარიანი ჯეელი“, ასე უთქვამს ბილისთვის, „მე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვარ“.

ჰო, მართლა, კრივზე ლაპარაკის დროს მოსულაო, უფიქრია ბილს, მაგრამ თეოფილო ჩვეულებრივად, უინტერესოდ ჰყვებოდა.

ინგლისური ჩინებულად იცის, მაგრამ „დავარტყიწაიქცას“ და „კომანდანტეს“ მეტს არაფერს ამბობს.

იეზის უფიქრია, უფიქრია, ეს კაცი როგორ გავახალისოო და გამოსავალი სტივენსონი სახლის კედლებზე უპოვნია. ორთაბრძოლების ფოტოები, კოხტა ჩარჩოებშია ჩასმული. ფოტოები ბევრი არ ყოფილა, მაგრამ, რაც გამოუფენია, სულ ამერიკელებთან შერკინების ამსახველი.

სასადილო ოთახში მონრეალის ოლიმპიადის დროინდელი ფოტო ჰკიდია. სტივენსონი ჯონ ტეიტს ეკრივება. იმ წელიწადს თეოფილომ მეორედ მოიგო ოლიმპიური ოქრო — ფინალში რუმინელი მირჩა სიმონი დაამარცხა.

„ფინალის ფოტო რატომ არ ჩამოკიდე?“

„ეს უფრო დამამახსოვრდა“, მოკლედ უპასუხია.

„მეოთხედ გახდებოდი ოლიმპიური ჩემპიონი?“

გასაგები მიზეზის გამო თეოფილო ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე ვერ ჩამოვიდოდა. მაშინ წითელი ბოიკოტის დრო იყო.

„ჩვენ არ გვინდოდა იმპერიალისტურ ოლიმპიადაში მონაწილეობა“.

მერე ფოტოებზე ულაპარაკიათ და ეს რომ არ ყოფილიყო, იეზი დიდად იმედგაცრუებული დარჩებოდა. უთხოვია, ფოტოები მაჩვენეო. ფოტოები იმდენი იყო, რომ იატაკზე გააფინეს. სამზარეულოში, ჰოლში, სასადილო ოთახში, იატაკი აღარ ჩანდა, თეოფილო, ბილი და პატარა დავიდი (თეოფილოს ვაჟი) დახოხავდნენ და თეოფილო ლაპარაკობდა. ისტორიები ფოტოებს ახლდა.

აგერ ელიო მენენდესი, სამოცდაათს მიტანებული განთქმული საკრივო მწერალი (რა და სპორტული ჟურნალისტიკის მაღალი დონე კუბაში შენარჩუნებულია). აი, კიდევ, ვალდო სანტიაგო, კუბის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, კუბური სამოყვარულო კრივის სასწაულის შემოქმედი. აგერაც... ყველაზე უცნაური ამ კომპანიაში მუჰამედ ალის გამოჩენა იყო. ამერიკული ჟურნალის ყდიდან ამოჭრილი ფოტო.



პირველი ოლიმპიური „მედალა ორო“ — მიუნხენის რინგის კიდეზე თეოფილო და რუსი მწვრთნელი ანდრეი ჩერვონენკო დგანან.

ამერიკული საკრივო ჟურნალები მაგიდაზეც დაუნახია ბილს, მაგრამ ეს ახალი ჟურნალები იყო, ალის ფოტო კი — ძველი. ბილს მალევე გაურკვევია, კომანდანტეს სამოთხეში მცხოვრები კაცი, თან ასეთი შარავანდედით მოსილი, პირდაპირ არასოდეს გეტყვის სათქმელს. ალი, რა თქმა უნდა, მისი კერპი იყო, მაგრამ თეოფილო ხმადაბლა ამბობს მხოლოდ იმას, რომ მისი აზრით, ალი საუკეთესო მოკრივეა პროფესიონალებს შორის. „პროფესიონალი“ და „მოყვარული“— ამ სიტყვებს თეოფილო სტივენსონი ხშირად წარმოთქვამს. ცნებების „იმათისა“ და „ჩვენი“ გამიჯნვა, ამერიკელთან მოლაპარაკე კუბელის ერთ-ერთი ავადმყოფობაა.

ალი... ის ნამდვილად კერპი იყო. თეოფილოს კი ის ამბები გაუხსენებია, ალისთან მის შერკინებაზე რომ ამტყდარა ლაპარაკი. მოლაპარაკებები ლამის ათ წელიწადს მიმდინარეობდა. კუბელი პროფესიონალი ვერ გახდებოდა. კრივის მსოფლიო ფედერაცია კი შეუვალი იყო — თუ ერთხელ მაინც მოყვარული მოკრივე პროფესიონალ მოკრივეს შეხვდება, სამოყვარულო რინგზე აღარ დაიშვება.

ამით კომანდანტეს გმირი კვდებოდა. არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ალის სამ მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, სტივენსონს მილიონნახევარს. თეოფილომ იმთავითვე გამოაცხადა — ფული კუბას მოხმარდებაო, მაგრამ ბრძოლა ეგრეც არ გამოვიდა.

დაამარცხებდა ალის?

თეოფილო დღესაც ვერ უპასუხებს ამ კითხვას.

„ალი ძალიან დიდი მოკრივე იყო“, აი, მისი პასუხი.

თუმცა ჰავანაში სხვა პასუხსაც გაიგონებთ და ეს პასუხი ზღაპარი არ არის. 1978 წლის სექტემბერში ალი უკანასკნელად გახდა ჩემპიონი და სრულ ორ კვირაში უკანასკნელად გამოცოცხლდა მისი და სტივენსონის შეყრის ამბავი.

ერთგვარად, ეს იდეოლოგიური ამბავი იყო. ამერიკულმა მედიამ ხმაური ატეხა, ორი სამყაროს ლომები უნდა შეერკინონო. ყველას ეგონა, რომ თეოფილო უარს იტყოდა, მაგრამ კომანდანტემ სხვაგვარად განსაჯა და პრინციპში სტივენსონიც თანახმა იყო. მერე ემისრებმა ალის დანაბარები ჩამოუტანეს თეოფილოს, ფული ჩემი და უარი შენიო. ესე იგი, უნდოდათ, რომ სტივენსონს უარი ეთქვა. მთავარი ამ ბოლო ცდაში სწორედ ეს იყო. მაგრამ თეოფილოს არ აინტერესებდა ფული, მით უმეტეს ქრთამი.

ელიო მენენდესი, კრივზე წერას რომ ორმოცდახუთი წელიწადი შეალია, დარწმუნებით გეტყვით, რომ სტივენსონი აუცილებლად დაამარცხებდა ალის თხუთმეტრაუნდიან ბრძოლაში. თეოფილო მაშინ ძალიან მაგარი იყო, შეიძლება ვთქვათ, რომ საუკეთესო თეოფილო იყო. ორ წელიწადში თავისი მესამე ოქრო მოიგო. მოსკოვის ოლიმპიადის ფინალში რუსი პეტრე ზაევი ულაპარაკოდ დაჯაბნა. კიდევ ერთი ოლიმპიური „მედალა ორო“ უკანასკნელი გამოდგა გოლიათისთვის.

კუბასაც აქვს სათქმელი.

ყველაფერი ბილ იეზიმ გვიამბო, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რა კაცია ეს თეოფილო სტივენსონი? ნუთუ მართლა ასე სჯერა თავისი ქვეყნის სავალი გზის? ნუთუ ფიქრობს, რომ კომანდანტე საუკეთესო ადამიანია მსოფლიოში.

ბილიც ამას ამბობდა. დღეს, თეოფილოსგან მეტს ვერაფერს გაიგებ. ის იმ ქვეყნის ერთ-ერთი სიმბოლოა, ჯიუტად რომ ადგას თავის გზას. ამ ქვეყანას სულ რამდენიმე სიმბოლო ჰყავს. მოჭადრაკე ხოსე რაულ კაპაბლანკა, ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი, კომანდანტე ფიდელი და მოკრივე თეოფილო სტივენსონი. ჰავანა ზღაპრული ქალაქია, იდგა, დგას და იდგება. იქნება კი იმ ჰავანაში, რომელიც ახალ საუკუნეში გააგრძელებს ცხოვრებას, თეოფილოს ადგილი?

მას მშვენიერი ოჯახი აქვს, ერთი უბრალო კაცია, გადახუხვა უყვარს და ძალიან ფრთხილად ლაპარაკობს. ეგებ სულაც არ ლაპარაკობს ფრთხილად და მართლაც ჰგონია, რომ რევოლუციის სადარაჯოზე დგას?

სიგარები კი მართლაც საუცხოო იყო.

ბილი მეუბნებოდა, რომ ფულის გადახდა არ უნდოდა. თითქოს განგებ მიდიოდა ისე, რომ გასამჯელო დავიწყებოდა. მეუხერხულებოდა, თუნდაც ათასი დოლარის გადახდა გამიჭირდებოდაო. აქ კი, ორმოცდაათი. ის ასსამოცდათხუთმეტიც იმიტომ ვიუარე, რომ მეუხერხულებოდაო. თეოფილო სტივენსონი ძალიან დიდი მოკრივე იყო. ის ჩარჩოში მოაქციეს. თავადაც დაეთანხმა ამას. უერთგულა რევოლუციას, რომელიც მაშინ მოხდა, როცა ექვსი წლისა იყო. მის მოტყუებას დიდი ფილოსოფია არ უნდა. რამდენია ასეთი?

ეგებ ბილი იეზისაც იმიტომ უყვარს კუბა და კუბელები, რომ მოელის — ერთ დღეს ჩარჩოები დაილეწება.



ჩვიდმეტი წლის ფოტო — გმირი და პიონერები

# დიადი ბიჭუნა

ამერიკულმა სააგენტომ „ასოშეიტედ პრესმა“ მეტად საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა: ჩრდილოამერიკული პროფესიული ლიგების ვარსკვლავების სტატისტიკური მონაცემები გაანალიზა და შემდეგი დასკვნა გამოიტანა: თავის სახეობაში „დიადი“ უეინ გრეცკი არნახულად დომინირებს — უახლოეს კონკურენტებზე მისი უპირატესობა ყველაზე დიდია. მაგალითად, ქულების რაოდენობით იგი 53 პროცენტით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ გორდი ჰოუს (გრეცკიმ 2830 ქულა დააგროვა, გორდი ჰოუმ 1850). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი უპირატესობა შედეგიან პასებში — 78 პროცენტი (გრეცკი — 1939 პასი, პოლ კოფი — 1091).

შედარებისთვის მოყვანილია ყველა ლიგის — NBA, NFL (ამერიკული ფეხბურთი) და კეტბურთელთა ვარსკვლავების მაჩვენებლები. კარიმ აბდულ ჯაბარის, კალათბურთის ლეგენდის, 38387 ქულა მხოლოდ 22 პროცენტით აღემატება უილტ ჩემბერლენის 31419-ს გრეცკის მიღწევა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, ჰოუსგან განსხვავებით, „დიადი“ ჯერ კიდევ თამაშობს და თანაც ნჰლ-ის საუკეთესო ბომბარდირთა შორისაა.

უეინ გრეცკის ფენომენი მარტო რიგითი მაყურებლის ინტერესს როდი იწვევს. მასზე სპეციალისტები, მეცნიერებიც ბევრს მსჯელობენ, ცდილობენ, გამოიცნონ და ახსნან მისი განსაკუთრებული მიღწევების საიდუმლო.

თქვენს ყურადღებას სამ ყველაზე მთავარ მომენტზე შევაჩერებთ.

### ჩრდილთან ბრძოლა

როცა გრეცკის თამაშს უყურებთ, განსაკუთრებული, არარეალური თითქოს არაფერია. „დიადი“ მოედანზე არც დაფრინავს, არც ბრძოლების ეპიცენტრშია. პირიქით, ზოგჯერ შეუმჩნეველიც კია... მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად, ხელსაყრელ პოზიციაზე ჩნდება და მეტოქის კართან ვითარდება მაქსიმალურად იძაბება. საერთოდ, ჰოკეიში, ფეხბურთისგან განსხვავებით, პერსონალური მეურვეობა ნაკლებეფექტურია და ამიტომ იშვიათად იყენებენ. თუ ტანსრული და გამორჩეული ოსტატების, თუნდაც ერიკ ლინდროსის ან მარიო ლემიეს წინააღმდეგ ამ ხერხს რაღაც შედეგი მაინც მოაქვს, „დიადის“ გაუვნებელყოფისთვის იგი სრულიადაც არ გამოდგება. ლიგაში, ალბათ, არ მოიძებნება კაცი, რომელიც გულახდილად იტყოდა, გრეცკი რამდენჯერმე გამოვიჭირე და ძალისმიერი ილეთი ჩავუტარეო. მასთან ძალისმიერი თამაში იგივეა, რაც ჩრდილთან ბრძოლა.


რაღა გრეცკისთვის (99) გიდევნია, რაღა ჩრდილისთვის

### სირცხვილი ურწმუნოებს

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ გრეცკი თავისი კარიერის საუკეთესო წლებშიც კი არ გამოირჩეოდა ფიზიკური კონდიციებით. გამხდარი და ერთი შეხედვით მოუქნელი უეინი კარიერის დასაწყისშივე „ბიჭუნად“ მონათლეს და დიდ ჰოკეიში მის პირველ ნაბიჯებს ბევრი სკეპტიკურად უყურებდა, ფიქრობდნენ, ასეთი აღნაგობისას ერთ-ორ წელიწადში ბორტს მიაჭყლეტენო. ლეგენდარული საბჭოთა მეკარე ვლადისლავ ტრეტიაკი ერთხელ იხსენებდა: მასთან სტუმრად მყოფი გრეცკი ცსკა-ს ათლეტურ ვარჯიშზე მიიწვიეს. მან ერთ-ერთი პროექტი ზურგზე შეისვა და ბურთით ჟონგლიორობას ცდილობდა, ამ დროს კი ძალიან უსუსურად გამოიყურებოდაო. მაგრამ მეცნიერებმა შეისწავლეს გრეცკის ორგანიზმის შესაძლებლობები და უნიკალური დასკვნა გამოიტანეს. ჩატარებულმა ტესტებმა აჩვენა, რომ თუ თამაშის დასაწყისშივე იგი ფიზიკური კონდიციებით თითქმის ყველას ჩამოუვარდება, მატჩის მსვლელობისას იგი ყველაზე ნაკლებად იღლება, ის კი არა, ძალაც ემატება...

ასე რომ, „ბიჭუნა“ აგერ უკვე ოცი წელიწადია, უმაღლეს დონეზე თამაშობს და ბორტზეც ვერავინ მიაჭყლიტა.

### ინტელექტი

და მაინც, იქნებ ყოველივე ზემოთქმული საკმარისი არც ყოფილიყო, გრეცკი საოცრად შორსმჭვრეტელი რომ არ ყოფილიყო. სპეციალისტთა აზრით, უეინი ბუნებისგან არაჩვეულებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული — ერთხელ შექმნილი სიტუაცია მის მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება და როდესაც იგი მეორდება, დიდხანს ფიქრი აღარ სჭირდება. ამით „დიადი“ უმაღლესი დონის მოჭადრაკეებს გვაგონებს, რომლებიც წამებში უამრავ ვარიანტს გაითვლიან ხოლმე. ზოგჯერ მოედანზე იგი თითქოს არალოგიკურადაც კი მოქმედებს, მაგრამ მისი პარტნიორები მუდამ იქ ჩნდებიან, სადაც „დიადი“ შაიბას მიუჩენს ადგილს და წარმატებაც არ აყოვნებს. რამდენი გვინახავს ისეთი მომენტი, როდესაც გრეცკი კარს უკან იმყოფება და მცველები თითქოს შეტევის ყველა ვარიანტს ხედავენ, მაგრამ შაიბა საბოლოოდ მაინც სულ სხვა მიმართულებით მიდის.

ასეთია უეინ გრეცკი, სპორტსმენი, რომელზეც უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, რომელიც დღეს პასის დიდოსტატად რჩება და, მიუხედავად ასაკისა, კვლავ გვაოცებს...

უეინ გრეცკი კიდევ ბევრ სიამოვნებას მოგვანიჭებს.

სარბიელის არქივიდან

# რენბერგი მეორედ მოვიდა


მიკაელ რენბერგი

ნჰლ ევროპული ჰოკეისგან იმითაც განსხვავდება, რომ ლიგაში შეტევისას მუდმივ სამეულებს არ იყენებენ. მწვრთნელი ძირითადად შეთამაშებულ დუეტს ეყრდნობა, მესამე წევრი კი დროდადრო იცვლება. იყო განსაკუთრებული შემთხვევებიც, როცა სამეულში გაერთიანებული ჰოკეისტები განსაკუთრებულ კლასს აჩვენებდნენ და ერთი-ორი სეზონის განმავლობაში უცვლელად თამაშობდნენ. 80-90-იან წლებში თითებზე ჩამოსათვლელი იყო ამგვარი შემთხვევები. მათგან ყველაზე ცნობილი ედმონტონური კური-გრეცკი-ტიკანენის ტრიოა. ამიტომაც ფილადელფიას ორი-სამი წლის წინ ამ კლუბში ბრწყინვალედ მოთამაშე, ერიკ ლინდროსის ეგრეთ წოდებული საბედისწერო ლეგიონის წევრი მიქაელ რენბერგი რომ დაუბრუნდა, ეს ფაქტი დეკემბრის პირველი ნახევრის მთავარ მოვლენად იქცა.

მთელი წელიწადნახევარი დასჭირდა ფილადელფიის გენერალურ მენეჯერ ბობი კლარკს საიმისოდ, რათა შეეგნო, რა დიდი შეცდომა დაუშვა 1997 წელს, როცა პლეი ოფის ფინალში დეტროიტთან დამარცხება შვედ ფორვარდ მიქაელ რენბერგს გადააბრალა. ფინალურ სერიაში „მფრინავთა“ სუპერტრიომ — ლეკლერი-ლინდროსი-რენბერგი — ვერაფერი მოუხერხა დეტროიტის დაცვას და სამეული, რომელიც მანამდე სამი სეზონის განმავლობაში დიდოსტატურად, კლარკმა დაშალა. რენბერგი ტამპაში გაუშვეს, მის ნაცვლად კი პერსპექტიული ცენტრი კრის გრეტონი (1993 წლის დრაფტის №3) მიიწვიეს.

...დადგა ლინდროსისა და ლეკლერის წამების ჟამი. მათ ძველებურად ბევრი შაიბა გაჰქონდათ, ლეკლერი საერთოდ არ ჩამოდიოდა 50-შაიბიან ზღვარს დაბლა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ გაორმაგებული ძალისხმევა სჭირდებოდათ, რადგან ამ წყვილს ვერა და ვერ მოუნახეს ღირსეული პარტნიორი. წელიწადნახევრის განმავლობაში შვიდმა მოთამაშემ სცადა მათ გვერდით თამაში, მაგრამ ამაოდ. ბოლოს კლარკმა კოლორადოში კეიტ ჯოუნსი გამოძებნა და შუა ნოემბერში „მფრინავთა“ შორის გამორჩენილი ფორვარდი ისე ათამაშდა, თითქოს მთელი კარიერის (ჯოუნსი უკვე 30 წლისაა) მანძილზე იმას ელოდა, ლინდროსსა და ლეკლერს როდის შეუერთდებოდა.

პირველ 7 თამაშში ამ სამეულმა 18 გოლი მიითვალა, ურიგოდ არც ამის შემდეგ გამოიყურებოდა, მაგრამ კლარკმა ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო და რენბერგი გუნდში დააბრუნა. კლუბის მწვრთნელი ჯონ მაკლერი კი ჯერ არ ჩქარობს რენბერგის ლინდროსთან დაყენებას. თავისი პირველი მატჩები შვედმა მეორე სამეულში ჩაატარა, რომელიც მისი მიმატების მერე ერთობ გაძლიერდა კიდეც ჯოუნსი კი ისევ თავის ადგილზე დარჩა... თუმც რენბერგი თავის ძველ კლუბში დაბრუნებითაც უზომოდ ბედნიერია. ისე, ადვილი მოსალოდნელია, უახლოეს ხანს შვედი თავის ყოფილ პარტნიორებს დაუბრუნდეს.

ბედის ირონია თუა, რომ რენბერგი ისევ კრის გრეტონზე გაცვალეს (ფილადელფიამ დეიმონ ლანგკოუც შეიძინა მაიკ სილინჯერის ნაცვლად). ზემოთაც მოგახსენეთ, გრეტონი ერთობ პერსპექტიული ჰოკეისტი გახლდათ, ფილადელფიაში გადასვლამდე კი ბოლო სეზონში 30 შაიბაც შეაგდო, მაგრამ ტანმაღალი ჰოკეისტი ვერა და ვერ შეეგუა „მფრინავთა“ სათამაშო სტილს და ალბათ ისიც კმაყოფილია ამ გაცვლით, მიუხედავად იმისა, რომ მაჩანჩალა ტამპაში აღმოჩნდა.

მაშ, ველოდოთ „საბედისწერო ლეგიონის“ აღდგენას, რომელიც კიდევ ბევრჯერ იტყვის თავისას.

**24 და 25 დეკემბერს ნჰლ-ის ჩემპიონატი შობის დღესასწაულის გამო შეწყდა, ჩვენ კი 12 იანვრამდე გემშვიდობებით. მანამდე გთავაზობთ სხვადასხვა ნომინაციაში ლიგის ლიდერთა სიას, რომელსაც ვარსკვლავები უძღვებიან. ერიკ ლინდროსი ბომბარდირთა შორის პირველობს, ხოლო დომინიკ ჰაშეკს მეკარეთა შეფასების სამივე მაჩვენებელი საუკეთესო აქვს**

***ბომბარდირები:*** *ლინდროსი (ფილადელფია) 41(17+24); კარია (ანაჰაიმი) 41(14+27); ლეკლერი (ფილადელფია) 40(22+18); იაგრი (პიტსბურგი) 3810+28); ფლერი (კალგარი) 37(17+20); რენიკი (ფინიქსი) 36(13+23); ამონტე (ჩიკაგო) 35(23+12); აიზერმანი (დეტროიტი) და ხრისტიჩი (ბოსტონი) 35(14+21); იაშინი (ოტავა) 35(13+22); გრეცკი (რეინჯერსი) 35(6+29); სუნდინი (ტორონტო) 34(12+22); ფორსბერგი (კოლორადო) 34(9+25); დემიტრა (სენტ ლუისი) 33(17+16); მესიე (ვანკუვერი) 33(11+22)*

***გოლები:*** *ამონტე 23; ლეკლერი 22; ნესლუნდი (ვანკუვერი) 18; დემიტრა, ლინდროსი, ფლერი, შენაჰანი (დეტროიტი) და ტკაჩუკი (ფინიქსი) 17; რობიტაილი (ლოს ანჯელესი), გერინი (ედმონტონი) და პრიმო (კაროლინა) 16*

***პასები:*** *გრეცკი 29; იაგრი 28; კარია 27; ფორსბერგი 25; ლინდროსი 24; რენიკი 23; მესიე, იაშინი და სუნდინი 22*

***ნაყოფიერების კოეფიციენტი:*** *ტკაჩუკი +20; შენონი (ფინიქსი) და ლეკლერი +19; ლინდროსი და კარპოვცევი (ტორონტო) + 18; კ. ბრაუნი (ბუფალო) + 17; დანეიკო (ნიუ ჯერსი) და ნუმინენი + 16; დრეიკი (ორივე ფინიქსი) + 15*

***დარტყმები:*** *კარია 180; შენაჰანი 138; ფლერი 137; იაშინი 132; ბონდრა (ვაშინგტონი) 130; რობიტაილი 127; ლემიე (კოლორადო) 126; იაგრი 123; სუნდინი 114; მაკინისი (სენტ ლუისი) 110*

***ჯარიმები:*** *ოჯიკი (აილენდერსი) 133; ოჯერსი (კოლორადო) 114; ბერუბი (ვაშინგტონი) 107; ლოსი (ფლორიდა) 100; პ. კოტი (ნეშვილი) და ბელანჟე (ბოსტონი) 99*

***მცველები:*** *საიდორი (დალასი) 25(9+16); მერფი (დეტროიტი) 25(4+21); ჰაუსლი (კალგარი) 23(2+21); ნუმინენი (ფინიქსი) 22(7+15); ლიჩი (რეინჯერსი) 22(6+16); მაკინისი 21(9+12); მირონოვი (ედმონტონი) 21(5+16); ლიდსტრიომი (დეტროიტი) და ჰ ეჩერი (პიტსბურგი) 20(5+15); ბურკი (ბოსტონი) 20(3+17)*

***ახალგაზრდები:*** *მუკალტი (ვანკუვერი) 21(11+10); ჰეიდუკი (კოლორადო) 17(5+12); პერიში (ფლორიდა) 16(10+6); დრური (კოლორადო) 13(6+7); უოტი (აილენდერსი) 13(4+9); მორისონი (ნიუ ჯერსი) 13(3+10); კაბერლე (ტორონტო) 12(3+9); მანელიუკი (ჩიკაგო) 11(4+7)*

***ზედიზედ ჩატარებული ქულიანი თამაშები:*** *კარია 11 (7 გოლი და 9 პასი); ტკაჩუკი 10(9+6); მაკარტი 9(დეტროიტი, 4+10); ფრიზენი 8(სან ხოსე, 6+7); ლინდროსი 7(3+15); ლეკლერი 7(10+4); შენაჰანი 7(7+6)*

***მეკარეები:*** *დარტყმების მოგერიება (%): ჰაშეკი (ბუფალო) 94,5; ფისე (ლოს ანჯელესი) 93,5; ირბე (კაროლინა) 93,4; დაფო (ბოსტონი) 93,2; ხაბიბულინი (ფინიქსი) და ებერი (ანაჰაიმი) 93,0*

***ერთ მატჩში გაშვებული გოლები:*** *ჰაშეკი 1,66; ხაბიბულინი 1,85; დაფო 1,91; უეიტი (ფინიქსი) და ირბე 1,92*

***შათაუტები:*** *ჰაშეკი 6; ირბე და სალო (აილენდერსი) 5; დაფო და ებერი 4*

**სამველ ლარიბიანი**


დომინიკ ჰაშეკი


ერიკ ლინდროსი

სარბიელის არქივიდან



ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოვარდება, ემოციით დაგტვირთავს და მერე მიდის, რათა თავი მოგვანატროს. თავს რომ მოგანატრებს, ისევ მოვა, ჩაგყლაპავს, პრობლემებს დაგავიწყებს და... რაც მთავარია, ოთხი წლის სალაპარაკოს გიტოვებს. შენც კამათობ, მსჯელობ და არ გბეზრდება.

არც მოგბეზრდება, იმიტომ, რომ ფეხბურთი გიტაცებს, სიმპათია-ანტიპათია გაქვს და გინდა მსოფლიოს ჩემპიონატმა შენი მსოფლმხედველობა დაგიდასტუროს, შენს გემოვნებას რაიმე დიდებული მიუძღვნას.

და გიხარია, რომ ლამის ყველა საერთაშორისო შეჯიბრების მომგონი, ელეგანტური და ინტელექტუალური ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. გსიამოვნებს, რომ პასების დიდოსტატი ზიდანი პირველია. გწყინს, რომ ავაზასავით მოქნილი ბრაზილიელები ფინალში დამარცხდნენ.

გული გწყდება, რომ ხარივით ძლიერმა, კატასავით მოქნილმა და ბავშვივით ალალმა რონალდომ ყველა ვერ დაჩრდილა. მსოფლიო ჩემპიონატი წლეულსაც წავიდა, მაგრამ იმიტომ, რომ თავი მოგვანატროს და ისევ მოვარდეს.










ლეგენდარული, თუნდაც სამახსოვრო საკრივო მატჩები წლეულს ან საერთოდ არ ჩატარებულა, ან თითზე ჩამოსათვლელი გახლდათ. სამაგიეროდ, დაბრუნდა სპორტის „უძღები შვილი" — მაიკ ტაისონი, რომელსაც ნევადის ათლეტთა კომისიის მამებმა ევანდერ ჰოლიფილდისთვის ყურის გვარიანი ნაწილის მოკბეჩა შეუნდეს და მოკრივის ლიცენზიაც დაუბრუნეს. ასე რომ, სეზონის სიმბოლოდაც რომელიმე მძლავრი ჰუკი თუ ჯები, ან ნაგვემი ზანგის ბიჭის სურათი კი არა, მეუღლე მონიკა ტერნერთან ერთად ბავშვივით გახარებული რკინის მაიკი იქცა.

სურათზე დიადი მაიკლ ჯორდანია აღბეჭდილი, ნბა-ს მეექვსე ჩემპიონობას რომ ზეიმობს და თან უხილავ მტრებს მუქარას უთვლის. დიად მაიკლს ვერაფერი გააჩერებს. მაშინაც, 14 ივნისს, ჯორდანმა იუტას ჩაუგდო თამაშის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე და ამით თავისი მილიონობით თაყვანისმცემელი კიდევ ერთხელ გაახარა.





*1998 წლის სეზონი ფორმულა 1-ში ყოველმხრივ კლასიკური გამოდგა — იყო ორი პილოტისა და ორი მძლავრი გუნდის დაპირისპირება, არაერთი დაძაბული ეტაპი, საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ბრალდებები, „ჰეფი ენდი" თავის დროზე სიკვდილს ბეწვზე გადარჩენილი მიკა ჰაკინენისთვის და, რა თქმა უნდა, საშინელი ავარიები. ისეთი, მაგალითად, როგორიც, კანადის დიდ პრიზზე რბოლის დროს მოხდა, როდესაც ბენეტონელმა ალექსანდრ ვურცმა ზაუბერელი ჯონი ჰერბერტის ბოლიდის თავზე შეკრა კამარა.*





# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
ზურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო აბულაძიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29